# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 3 მაისი 2006 №98 (2720) ფასი 50 თეთრი


# თასი სრულიად ქართულია: ფინალში ამერ-იმერია



ბაჩო კორინთელის ფოტო

ამერი — სიონი 1:0. სულიკო დავითაშვილს (№7) და მის თანაგუნდელებს პირველ ტიტულამდე ერთი ნაბიჯი დარჩათ

*13 მაისი. თბილისი. „მიხეილ მესხი". თბილისის „ამერი" „ზესტაფონის" პირისპირ — გუშინ გამართულმა საქართველოს თასის საპასუხო ნახევარფინალურმა შეხვედრებმა საფეხბურთო ამერ-იმერი გააერთიანა.*

*ზესტაფონურ შეხვედრას ნაკლები ინტრიგა ახლდა: ორი კვირის წინანდელი 2:1 სოლიდური ფორა იყო საიმისოდ, რათა „ზესტაფონს" ორმატჩიანი დუელი სათავისოდ დაესრულებინა. თავიდან „ვიტ ჯორჯიამ" კი გაიტანა, მაგრამ ამან საერთო წარმატებისთვის არ იკმარა.*

*გლდანში კი... ჩემპიონობისთვის მომართულმა „სიონმა" ძირითადი შემადგენლობის თითქმის ნახევარი გადამწყვეტი ბრძოლებისთვის შემოინახა და, ერთი შეხედვით, „ამერს" საქმე გაუიოლა. თუმცა გლდანური 1:0 იოლი მაინც არ ყოფილა — ოთხწლიანი ისტორიის მქონე კლუბმა დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალისკენ გზა ბრძოლით გაიკვალა და ისევე, როგორც მისი მეტოქე „ზესტაფონი", ათი დღის შემდეგ პირველ ტიტულს შეეჭიდება.*



ბაჩო კორინთელის ფოტო

# ვან გაალთან, როგორც კოლეგასთან

## ტოპი ადრიან შეკრებას აპირებს

წინა უქმეებზე საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი ჰოლანდიაში ჩავიდა და „ალკმაარის" დამრიგებელ ლუის ვან გაალს და თავდამსხმელ შოთა არველაძეს შეხვდა. ამის შესახებ მყის გაუწყეთ, მაგრამ მაშინ ტოპმიოლერთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, გუშინ კი ჰერ კლაუსს რამდენიმე კითხვით მივმართეთ...

— ვან გაალთან, როგორც კოლეგასთან, საქმიანი შეხვედრა მქონდა. ყველა იმ გუნდის მწვრთნელს ვხვდები, რომლებშიც საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები თამაშობენ, რათა მათზე, რაც შეიძლება, მეტი შევიტყო. ვან გაალთანაც შოთა არველაძეზე ვისაუბრეთ.

**— არველაძეს 31 მაისის პარაგვაისთან მატჩისთვის გამოიძახებთ?**

— რა თქმა უნდა და, ვფიქრობ, ამ შეხვედრაში სხვა საუკეთესო ქართველი ლეგიონერებიც ითამაშებენ.

**— ლეგიონერთა უმეტესობა სეზონს მალე ჩაამთავრებს და 31 მაისამდე კარგა ხანს უქმობა მოუწევთ...**

— ასეა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ისინი საკუთარ თავს მოდუნების უფლებას არ მისცემენ. პარაგვაისთან საკმაოდ მნიშვნელოვანი მატჩი გველის.

**— იმის გამო, რომ ლეგიონერები პარაგვაისთან ამხანაგურ მატჩამდე საკმაოდ ადრე თავისუფლდებიან თავიანთი კლუბებიდან, ხომ არ აპირებთ, რომ ეს შეკრება დაგეგმილზე ადრე დაიწყოთ და მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ერთად უფრო მეტი დრო გაატაროთ?**

— ამ მიმართულებით უკვე ვმუშაობთ და ალბათ ასეც იქნება.

**ნინო სილაგაძე**

# ძალიან მაგარია!

## მერთი ელითეზი: თურქის ტანი გურჯისტანში



ბაჩო კორინთელის ფოტო

*ის დრო ისტორიის გაკვეთილებში დარჩა, როცა გურჯები და თურქები ერთმანეთს ხმალს ვულერებდით. დღეს შავზღვეელ მეზობლებთან გასაყოფი არაფერი გვიჩანს და კარსაც თავაზიანად ვულებთ, თვით ეროვნული ნაკრებისასაც კი. ნუ გაგიკვირდებათ, ამ დღეებში შვედებთან საფრენბურთო მატჩისთვის ჩვენს ნაკრებში თურქულ სახელს თუ დაინახ-მოისმენთ. 23 წლის გამთამაშებელი მერთი ელითეზი არც დაფიქრებულა, როცა გურჯისტანის ნაკრებში თამაში შესთავაზეს. ახლა ის თბილისშია და ბორჯღალიან პასპორტს ელის.*

*მაგრამ მერთის საქართველოსკენ სპორტული პერსპექტივის გარდა ქართული ფესვებიც ეწევა. მისი პაპის მამა თუ პაპა მე-19 საუკუნის მიწურულს თურქეთში დასახლებულა, მისმა შთამომავლობამ კი მშობლიური ენის ნაშთები მაინც შემოინახა. მერთი ელითეზმა არ იცის თავისი ქართველი წინაპრის გვარ-სახელი, მაგრამ საკმაოდ სუფთა ქართულით გვეუბნება — „ძალიან მაგარია!"*

# ექიმებმა ასათიანი გაამალხაზეს



მალხაზ ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივისთვის“ შეუცვლელ ფეხბურთელად რომ ითვლება, ეს რუსული პრემიერლიგის წინა უქმეების მატჩმაც დაადასტურა: კვირას „ლოკომოტივი“ „მოსკვას“ ეთამაშა, ორთვიანი მკურნალობის შემდეგ მოედანზე დაბრუნებული ჩვენიანი მცველი კი რუსებმა ამ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

არადა, მალხაზ ასათიანს „მოსკვასთან“ შეხვედრამდე ვარჯიში სულ რამდენიმე დღის დაწყებული ჰქონდა და ოპერაციის შემდეგ „ლოკომოტივის“ დუბლებში ოდენ ერთი ტაიმი ეთამაშა. ოპერაცია კი ასათიანს, გეხსომებათ, ლავიწის ძვალზე დასჭირდა, რომელიც მან სეზონისწინა მოსამზადებელ შეკრებაზე გაიტეხა და ორი თვეც ამის გამო გაუცდა...

— ძალიან მომნატრებია თამაში. ორთვიანი დასვენების შემდეგ მოედანზე რომ დავბრუნდი, ასე მეგონა, ფეხბურთში პირველი ნაბიჯები გადავდგი. კარგია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა, თავადაც ნორმალურად ვითამაშე და რაც მთავარია, გუნდმა მოიგო — გვითხრა მალხაზ ასათიანმა.

— თანაც საგოლე კომბინაცია შენი წამოწყებული იყო...

— „მოსკვასთან“ მოგების იმედი უკვე აღარც გვქონდა. ვფიქრობ, მსაჯი სწორად მოიქცა, როცა შეტევა შუა გზაზე არ შეგვაწყვეტინა და მატჩი არ დაამთავრა. ჩემი პასი კი ლოსკოვმა უფრო ეფექტურად გააგრძელა და შეტევა სიჩოვმაც ჩინებულად დააგვირგვინა.

— ამ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაუსახელებიხართ...

— ძალიან სასიამოვნოა. მით უმეტეს, რომ ორი თვე არ მეთამაშა და დაბრუნებისთანავე ჩემი თამაში ასე შეაფასეს.

— რაკი საუკეთესოდ დაგასახელეს, ესე იგი, სათამაშო ფორმისგან არცთუ შორს ხარ...

— ფიზიკური კონდიციები ჯერ კიდევ არ მაკმაყოფილებს. ერთი კვირაც მჭირდება, სასურველ ფორმაში რომ ჩავდგე.

— „ლოკომოტივის“ უფერულ სტარტს რითი ახსნი?

— მთავარია, გუნდი უკვე მოფერიანდა და ბოლო სამ მატჩში ორჯერ მოვიგეთ, თანაც ჩემპიონი ცესკა და აგერ, ახლა საკმაოდ ძლიერი „მოსკვა“ დავამარცხეთ. წლეულს ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტ „რუბინთან“ კი ორბურთიანი სხვაობა ვერ შევინარჩუნეთ. მოკლედ, „ლოკომოტივი“ თამაშის ხარისხს ნელ-ნელა აუმჯობესებს და არც მთლად ისეა საქმე, როგორც ბევრი ფიქრობს, „ლოკომოტივი“ ჩემპიონობისთვის ველარ იბრძოლებსო. გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ სეზონი, ფაქტობრივად, ახალი გუნდით დავიწყეთ — ახალი მწვრთნელი, ახალი ფეხბურთელები, ახლებური ტაქტიკა-სტრატეგია. „ლოკომოტივში“ ყველაფერი ახალია და ვიდრე მწვრთნელის მოთხოვნებს ავითვისებთ, და მის შენიშვნებს გავითვალისწინებთ, ცოტა დრო კიდევ გვჭირდება. სეზონის დასაწყისშივე მაღალ დონეზე თამაში კი ყველა გუნდს უჭირს.

— „მოსკვასთანაც“ დაცვის ცენტრში იყავი. შეგიძლია თქვა, რომ ნახევარდაცვაში არც ახალი მწვრთნელი გათამაშებს?

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვი. სადაც მწვრთნელი ჩათვლის საჭიროდ, იქ ვითამაშებ. ისე კი, მუსლინმა კარგად იცის, რომ გამთამაშებლად თამაშიც შემიძლია.

— რუსულ პრემიერლიგაში წლეულს რომელ გუნდებს გამოარჩევ?

— ვფიქრობ, ეს ჩემპიონატი უწინდელებზე მნიშვნელოვნად განსხვავებული და ძალიან დაძაბული იქნება. ცესკა, „სპარტაკი“, „ზენიტი“, „რუბინი“ და, რა თქმა უნდა, „ლოკომოტივი“ ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ, თუმცა „ტომი“, „კრილია“, „მოსკვა“ და სხვა გუნდებიც დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევენ. გუნდები ფინანსურად კიდევ უფრო გაძლიერდნენ, ახალი ფეხბურთელებიც ბევრია და თამაშის დონეც შესამჩნევად ამაღლდა.

— საქართველოს ნაკრებიდან ჯერ ხომ არავინ დაგკავშირებია?

— ჯერ არა. ვიცი, რომ 22 მაისიდან შეკრებაა დაგეგმილი და თუ გამომიძახებენ, რა თქმა უნდა, ნაკრებს შევუერთდები. 15 მაისიდან პრემიერლიგაში შესვენებაა, რუსეთის ნაკრებსაც აქვს ამხანაგური მატჩი და კლუბიდან გათავისუფლების პრობლემა არ მექნება.

**კობა ინასარიძე**



# რუბინის ქართული ტრავმიანობა

## ქინქლაძე მომჯობინდა, აშვეთია-სალუქვაძე დაშავდნენ

**რუსულ** პრემიერლიგაში შვიდი ტური ისე გაიმართა, ყაზანის „რუბინის“ გამთამაშებელ გიორგი ქინქლაძეს ჯერ არ უთამაშია; ბოლო ორი ტური სამატჩო განაცხადში არ გამოჩენილა რუბინელი ფორვარდი მიხეილ აშვეთია, ხოლო მცველმა ლაშა სალუქვაძემ ბოლო ტურში არ ითამაშა.

ქინქლაძეს ჯერ მოტეხილი ნეკნი გაუმიზეზდა, შემდეგ საზარდულმა შეაწუხა და ორი კვირით მოსკოვში წავიდა სამკურნალოდ. გიორგის გუშინ შევეხმიანეთ და გვითხრა, რომ ორი დღეა, გუნდთან ვარჯიში განაახლა. ქინქლაძისგან შევიტყვეთ აშვეთიასა და სალუქვაძის უთამაშებლობის მიზეზიც — სალუქვაძეს საზარდული ასტკივდა, ხოლო აშვეთიას ბარძაყის უკანა კუნთი — ისინი ჯერაც ინდივიდუალურად ემზადებიან.

**დავით თავართქილაძე**

### ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ბლეკბერნი 1:0 ჩელსი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩი
როჩდეილი 0:2 კარლაილი

### შოტლანდია

პრემიერლიგა
XXXVII ტური
ჰიბერნიანი 1:2 რეინჯერსი
დანდი იუნ. 0:1 დანფერმლაინი

### უკრაინა

თასის ფინალი
დინამო 1:0 მეტალურგი (ზ)

### შვედეთი

სუპერეტა. III ტური
დეგერფორსი 1:1 ატვიდაბერგი

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XXXII ტური
ბოლში 2:3 კიასო

### გერმანია

ბუნდესლიგა. XXXII ტური
კიოლნი 0:1 ჰამბურგი
ჰანოვერი 1:2 დორტმუნდი
ჰერტა 1:5 ლევერკუზენი
ნიურნბერგი 5:2 მიონხენგლადბახი

მეორე ბუნდესლიგა
XXXII ტური
ალემანია 3:0 ზიგენი
ბურგჰაუზენი 5:1 პადერბორნი
ზაარბრიუკენი 0:4 ოფენბახი
უნტერჰახინგი 1:0 მიუნხენი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
ქემნიცი 1:3 ვატენშაიდი

სამხრეთ რეგიონალლიგა
XXIX ტური
კარლსრუე (მ) 0:0 ეშბორნი
ბაიერნი (მ) 1:1 დარმშტადტი
ლაუტერნი (მ) 1:1 ბაიროითი
პფულენდორფი 0:2 კიკერსი
შტუტგარტი (მ) 1:4 მიუნხენი (მ)
ვეჰენი 3:0 ელვერსბერგი

### ავსტრია

პირველი დივიზიონი
XXXI ტური
ალტახი 1:0 ლინცერი
გრატკორნი 2:1 აუსტრია (ლ)
კაპფენბერგი 2:0 შვანენშტადტი
კერნტენი 3:3 ლეობენი
კუფშტაინი 0:3 აუსტრია (მ)

### ირლანდია

პრემიერდივიზიონი
გადადებული მატჩი
კორკი 2:0 სლიგო

### უნგრეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
ვაშაში 0:1 ჰონვედი (3:1)

### სლოვენია

პირველი ლიგა. XXX ტური
ბელა კრაინა 1:5 დრავა პტუი
ნაფტა 0:1 კოპერი
მარიბორი 2:0 პრიმორიე
რუდარი 2:4 პუბლიკუმი
ნოვა გორიცა — დომჟალე
*დღეს გაიმართება*

### ამხანაგური მატჩები

საამიროები 2:1 სირია
პოლონეთი 0:1 ლიტვა

# პატარა ლიტვის უგოლო 1:1

**საქართველოს** 21-წლამდელთა ნაკრების მომავალმა საევროშესარჩევო მეტოქე ლიტვამ გუშინ ტესტ-მატჩი გამართა პოლონელ თანატოლებთან და 1:1 ითამაშა. კაუნასში მიმდინარე თამაშში 70-ე წუთზე ლიტველები დაწინაურდნენ პოლონელი ბლაჟეი ტელიჩოვსკის ავტოგოლით, სტუმრებმა კი 90-ე წუთზე გაათანაბრეს „სწორი ორიენტაციით“ გატანილი გოლით.

ლიტველთა თავკაცმა ვიტალიუს სტანკევიჩიუსმა ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *სეტკუსი (კვილინსკასი 46), სკროცლასი, ბარტკუსი, გნედოიუსი, რამონასი, პანკა, ლუკშა (გალკევიჩიუსი 46), ტომკევიჩიუსი (ლაპუკასი 65), ურბშისი (სერნასი 70), ჩინიკასი, ბლაჟისი (ივაშკევიჩიუსი 65).*

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაზე რეალური უნგრეთია

## თუ ეს გამოვა, შეკრება 20 მაისს დაიწყება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე უშუალოდ მუშაობს ეროვნულ ნაკრებებთან და მას მეტწილად ჩვენს უპირველეს გუნდზე ვესაუბრეთ...



გურამ [illegible] ფოტო

— კლაუს ტოპმიოლერისგან შევიტყვეთ, რომ ეროვნულ ნაკრებს 31 მაისს პარაგვაისთან ამხანაგური მატჩისთვის შეკრება ადრიანად დაეწყება...

— 28 მაისიდან 1 ივნისამდე ნაკრები ავსტრიაში იქნება, ხოლო შეკრება 22-23 მაისს დაიწყება თბილისში. შესაძლოა, შეკრება უფრო ადრეც დავიწყოთ — ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ 25-26 მაისისთვის სპარინგ-პარტნიორს გამოვძებნით — საამისოდ ყველაზე რეალური ვარიანტი უნგრეთის ნაკრებთან თამაშია.

— ლიტვა და აზერბაიჯანი — ხომ არ ურჩევთ ტოპმიოლერს, რომ ამ ქვეყნებში თამაში ქართველ ლეგიონერებსაც დაუფასდეთ?

— ამ ეტაპზე ეს არ მოხდება. ერთი კონკრეტული მატჩისთვის ძალიან ბევრ ფეხბურთელს ვერ გამოვიძახებთ.

— ნაკრებში გამოძახებულთა სიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იქნება?

— შემიძლია გითხრათ, რომ პარაგვაისთან მატჩისთვის ეროვნულ ნაკრებში გამოვიძახებთ ოთარ მარცვალაძეს და ჯაბა კანკავას. სამწუხაროდ, დაგვაკლდება ლევან ცქიტიშვილი — მას ისე გაურთულდა ტრავმა, რომ საოპერაციოა. გაჩნდა პატარა იმედი, რომ გოგა გახოკიძე პარაგვაისთან თამაშს შეძლებს.

— ტოპმიოლერი როდის ჩამოვა საქართველოში?

— მალე. ის 19-წლამდელთა ნაკრების მომზადებაში მიიღებს მონაწილეობას და 13 მაისს საქართველოს თასის ფინალს დაესწრება.

— საქართველოს ნაკრების შტაბში ახალი სახე გამოჩნდა — რომელ ნაკრებში იმუშავებს ბესიკ ფრიდონაშვილი?

— ის სამწვრთნელო შტაბის წევრია და იმ ნაკრებში იმუშავებს, კონკრეტულ მომენტში რომ იქნება საჭირო.

— ნაკრების შესაძლო სპონსორთან, „დიადორასთან" მოლაპარაკება როგორ მიდის?

— „დიადორასთან" მოლაპარაკება კარგად მიდის, იცით, რომ ამ ფირმის წარმომადგენელი უკვე თბილისშია და მისი ვიზიტი 5 მაისამდე გასტანს.

**დავით თავართქილაძე**



# აუე-ს სირაძე უბრუნდება

**ერცგებირგეს** აუე-ს შემტევი დავით სირაძე მოედანს უბრუნდება — საზარდულის ტრავმის გამო სირაძემ რამდენიმე მატჩი გამოტოვა მეორე ბუნდესლიგაში, მაგრამ ახლა გამოკეთდა და ამ სეზონში ვინძლო კიდევ მოასწროს თამაში...

— დღეს საზარდულზე ერთხელაც გადამიღეს სურათი და აღმოჩნდა, რომ ყველაფერი წესრიგში მაქვს. ხვალიდან ინდივიდუალურად ვივარჯიშებ ექიმის მეთვალყურეობით და ერთ კვირაში ალბათ გუნდთან ერთადაც განვაახლებ ვარჯიშს. მეორე ბუნდესლიგის დამთავრებას ორი ტური უკლია და შესაძლოა, ბოლო ტურში ვითამაშო კიდეც — გვითხრა გუშინ სირაძემ.

**ნიკა ჯორჯაძე**

# მარცვალაძის პირველი კიევური

**კიევის** „დინამოსთვის" 2 მაისი იღბლიანი დღეა: ზუსტად 20 წლის წინ ვალერი ლობანოვსკის „დრიმ თიმმა" თასების თასი მოიგო ლიონში, როცა ფინალში მადრიდის „ატლეტიკო" 3:0 გაანადგურა.

გუშინაც 2 მაისი იყო და კიეველებმა 20 წლის წინანდელთან შედარებით ღარიბი, მაგრამ ტიტული მაინც მოიგეს — უკრაინის თასის ფინალში ზაპოროჟიეს „მეტალურგს" ბრაზილიელი კლებერის 47-ე წუთზე გატანილი გოლით 1:0 აჯობეს. შესაბამისად, პირველი კიევური ჯილდო მოიპოვა ოთარ მარცვალაძემაც, რომელსაც გუშინ არ უთამაშია. სავარაუდოდ, სულ მალე მარცვალაძე კიდევ ერთ ტიტულს მიამატებს — „დინამო" ძალიან ახლოსაა ქვეყნის ჩემპიონობასთან.

ზაპოროჟიეს „მეტალურგიდან" კი გუშინდელ ფინალში ორმა ქართველმა ითამაშა — დავით კვირკველია 90 წუთი იყო მინდორზე, ირაკლი მოდებაძე კი 79-ე წუთზე შეცვალეს

**ილია ნანობაშვილი**




ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით ყიფიანის თასი

## ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

თბილისი. 2 მაისი. 16 საათი. ამერი. 1 000 მაყურებელი

## ამერი 1:0 სიონი (0:0)

| | |
|---|---|
| 1:0 სევასტოპულო (67) | |
| *ხუციშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (2, ააცილა)* | |
| ამერი: ქვაჩახია, გ. კვახაძე (ნიკოლაიშვილი 46), დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დოლიძე, დობროვოლსკი, ბოლქვაძე (დეკანოსიძე 80), სევასტოპულო, ს. დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი (ბერიანიძე 46) *სათადარიგონი: ნაჭყეპია; გვაძაბია, ტატანაშვილი, გარუჩავა* მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | სიონი: ბობლიაშვილი, ლ. ჭელიძე, ოქრობირიძე, რაქვიაშვილი, კობაური, დ. სვანიძე, ტაბატაძე, ა. ალავიძე (ბეგ. თედორაძე 46), კვიტაიშვილი, მ. ხუციშვილი, ქარდავა *სათადარიგონი: ბათიაშვილი; ლაშქუკი, სირბილაძე, გურბიენკო, ქუცურუა* მწვრთნელი: კახა ცხადაძე |
| გაფრთხილება: ქვაჩახია (I), ტაბატაძე (II) | |
| გაძევება: დავითნიძე (42) | |
| მსაჯები: ლ. კვარაცხელია; მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე; ა. ნონიკაშვილი | |
| დამკვირვებელი: ა. დურსუნიში; დირექტორი: პ. ბურჯალიანი | |

# ახალი ისტორია ფინალში გავიდა

**გიორგი ნოზაძე**

*კახა ცხადაძე:* „რიგი მიზეზების გამო ძირითადი შემადგენლობის რვა ფეხბურთელი ვერ ვათამაშეთ. ჩვენი გუნდის 12 წევრს ორ-ორი ყვითელი ბარათი დაუგროვდა და არ გავრისკეთ. აქცენტი ჩემპიონობაზე გვაქვს გადატანილი. დარჩენილ ორ ტურში, სულ მცირე, ოთხი ქულა გვჭირდება, ამიტომაც მივეცი დღეს რეზერვისტებს თამაშის საშუალება.

...პირველ ტაიმში რამდენიმე კარგი მომენტი გვქონდა, მეორეში კი გუნდს დაღლა დაეტყო. ახლა მთავარი ჩემპიონატის დარჩენილი ორი თამაშია. „სიონმა“ მთელი სეზონის განმავლობაში დაამტკიცა, რომ ჩემპიონობის ღირსია და იმედი გვაქვს, მიზანს მივაღწევთ.“

*გიორგი ჩიხრაძე:* „დაძაბული თამაში იყო. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ორი თვის მანძილზე თასის ნახევარფინალისთვის ვემზადებოდით. იმის მიუხედავად, რომ გუნდში რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი გვყავს, ნერვიულობა გვეტყობოდა, „ამერი“ ხომ ამ დონეზე პირველად თამაშობს. ნერვიულობის ბრალი იყო მატჩის დებიუტში დანიშნული პენალტიც, თუმცა, საბედნიეროდ, გადავრჩით. პირველივე ტაიმში კაპიტნის გაძევებამაც იმოქმედა. შესვენებისას რამდენიმე შეცვლა განვახორციელე, ბიჭებს მობილიზება ვთხოვე, მოინდომეს და მიხარია, რომ შედეგს მივაღწიეთ. რა თქმა უნდა, კახასი მესმის. უკვე შემდეგ ტურში ჩემპიონატის მატჩში ბოლნისში ვხვდებით და იმ მატჩზე ფიქრობდა. ჩვენ კი უკვე დღეიდან ვიწყებთ მზადებას ფინალისთვის.“

„ამერი“ — „სიონის“ საპასუხო ნახევარფინალური მატჩის მიმოხილვა პრესკონფერენციით ტყუილად არ დაგვიწყია. საკლუბო სტრატეგიამ დიდწილად განსაზღვრა გუშინდელი მატჩის სცენარიც და შედეგიც. კახა ცხადაძეს ჩინებულად ესმოდა, რომ ეს მატჩი „ამერისთვის“ ფინალის დარი იყო და ბოლომდე იბრძოლებდა. ასეთ პირობებში ორი კურდღლის გამოდევნება სარისკო ჩანდა და გუნდის ლიდერებს დასვენების საშუალება მისცა. ამის მიუხედავად, მატჩის დებიუტი „ამერისთვის“ შოკისმომგვრელი აღმოჩნდა: პირველსავე წუთზე „ამერის“ მეკარისა და მცველების შეუთანხმებლობას ის მოჰყვა, რომ ზურაბ ქვაჩახია იძულებული გახდა, ბესიკ ქარდავა წაექცია. პენალტის დარტყმა მიხეილ ხუციშვილმა ითავა და... ბურთი კარს ააცილა.

თამაში საკმაოდ მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. „ამერი“ უპირატესობას ფლობდა და შესაძლებლობისთანავე შორიდანაც ბომბავდა მინდია ბობლიაშვილის კარს, თუმცა რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე მე-16 წუთამდე არ მისულა — რატი წინამძღვრიშვილის დიდებული პასით დავით სევასტოპულო მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, თუმცა დარტყმა დააგვიანა და ბობლიაშვილმა ფეხებში ჩახტომით განმუხტა სიტუაცია. სამ წუთში უკვე სიონელ მიხეილ ხუციშვილს მართებდა გატანა — სამი-ოთხი მეტრიდან თავით ურტყამდა და ისევ გადააცილა კარს. „პინგ-პონგი“ იმავე სევასტოპულოს პირისპირ გასვლით გაგრძელდა. გადაცემა ამჯერად სულიკო დავითაშვილმა შეასრულა, „სევამ“ კი დარტყმა ისევ დააგვიანა და მეკარეს მოარტყა ბურთი.

ტაიმის ბოლომდე ბურთი ძელმა ორჯერ აისხლიტა: პირველად სიონელი ხუციშვილის ჯარიმიდან მოჭრილი ბურთი „ჯვარედინს“ მოხვდა, მერე კი, ტაიმის ბოლო. წუთზე სევასტოპულოს გამჭოლი გადაცემა რიკოშეტით და ძელით გაგრძელდა.

ამ ორ ეპიზოდს შორის კი ის იყო, მაყურებელთა გაოცება რომ გამოიწვია: არბიტრმა ლევან კვარაცხელიამ ამერელთა კაპიტან გიორგი დავითნიძეს წითელი ბარათი აუფრიალა. ტრიბუნიდან ისე ჩანდა და ნამატჩევს გაძევებულიც იფიცებოდა, რომ იმ ეპიზოდში თანაგუნდელს მიმართა „შინაურულად“.

მეორე ნახევარში ორივე მწვრთნელმა ცვლილებები განახორციელა. ჩიხრაძემ წინამძღვრიშვილი ჯაბა ბერიანიძით ჩაანაცვლა, გიორგი კვახაძე კი გიორგი ნიკოლაიშვილით და დავითნიძის გაძევების შემდეგ დაცვაში გაჩენილი ნაპრალი ამოავსო. ცხადაძემ კი ალავიძის ნაცვლად ბეგლარ თედორაძე გამოიყვანა, დაცვაში გაამწესა და თემურ რაქვიაშვილს ალავიძის ადგილი ჩააბარა ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე.

რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენის მიუხედავად, „ამერმა“ სწორედ ამ დროს გამოავლინა კარგი ფიზიკური მომზადება — დავით ბოლქვაძემ საკუთარ შესაძლებლობებსაც გადააჭარბა, სულიკო დავითაშვილი კი მატჩის მიწურულს ისე იყო ძალაგამოცლილი, კუნთდაჭიმული მოედანზევე ჩაიკეცა.

სახიფათო მომენტები კი კვლავაც ერთმანეთს ცვლიდა. ჯერ დავითაშვილი აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ და მას ბურთი ვერ ააცილა, მერე ხუციშვილის დარტყმულს ქვაჩახია და ხარიხა თითქმის ერთდროულად გადაეღობნენ, კიდევ ერთ წუთში კი გრიგოლ დოლიძემ ისეთი პოზიციიდან მოარტყა ხარიხას, თავზე იტაცა ხელები.

გოლი 67-ე წუთზე გავიდა. მოედნის ცენტრში მოგერიებისას „სიონის“ მცველმა ბურთი თანაგუნდელს მოარტყა, მასთან დავით სევასტოპულო გაჩნდა, წინ კი 50 მეტრი თავისუფალი სივრცე და მეკარე მინდია ბობლიაშვილი იყვნენ. საჯარიმოში შესულმა სევასტოპულომ ცრუმოძრაობით დააწვინა მეკარე და ზემოდან გადაავლო ბურთი — 1:0.

ბუნებრივია, გოლის გატანის შემდეგ „ამერი“ დაცვაში ჩაჯდა. დიდი ენერგია აღარც სტუმრებს შერჩენოდათ და თუ საგოლე შანსებზე მიდგება საქმე, ასეთი ალბათ დავით სვანიძის დარტყმა იყო, დაბალ კუთხეში მიმავალი ბურთი ქვაჩახიამ კუთხურზე რომ მოიგერია.

13 მაისს „ამერი“ თავის ოთხწლიან ისტორიაში პირველ ფინალს ითამაშებს და პირველ ტიტულს შეეჭიდება. გუშინ კი ემოციებისგან დაცლილ ამერელებს ბოლომდე არც გაეცნობიერებინათ ეს ამბავი...



დავით სევასტოპულომ საფინალოდ მოიჭნია

[illegible] ფოტო




# დავით ყიფიანის თასი

**ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები**



მალხაზ ძიძიკაშვილის ფოტოებიდან

# ზესტაფონი ცივი შხაპით გამხნევდა



ყველაფერი ასე დაიწყო...

**ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან**

**პირველი** შეხვედრის შემდეგ „ზესტაფონმა“ საკმაო ფორა მიიღო და გუშინდელ მატჩში ძნელი წარმოსადგენი იყო თბილისელთა, სულ მცირე, ორბურთიანი სხვაობით მოგება და ფინალში გასვლა, მაგრამ...

უკეთეს დასაწყისზე სტუმრები ალბათ ვერც იოცნებებდნენ. გრიგოლ ჭანტურიამ ნიკა გელაშვილის სუსტად დარტყმული ბურთი იოლად მოიხელთა, წამსვე სცადა თამაშში შეტანა, რაც ძალიან უხეიროდ გამოუვიდა — გელაშვილს ზურგში გაარტყა, ასხლეტილი ბურთი კი... კარში შეგორდა — 0:1. ეს კურიოზული ამბავი მე-7 წუთზე მოხდა.

ბუნებრივია, ფსიქოლოგიური უპირატესობაც თბილისელთა მხარეს გადავიდა და მათაც მეორე გოლის გასატანად გაიწიეს: პავლე დათუნაიშვილის ჩაწოდებულს გიორგი ბერიაშვილმა თავი დაჰკრა — ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

ბურთს თითქმის სულ თბილისელები აკონტროლებდნენ. აშკარა იყო, გაშვებულმა გოლმა ზესტაფონელები დააბნია, მაგრამ მალე მოხდა ის, რამაც ყველაფერი გადაწყვიტა — ზესტაფონელთა ლიდერმა ზურაბ იონანიძემ კარგად გადააწოდა გოგი ფიფიას, რომელიც საჯარიმოში წესების დარღვევით შეაჩერა პაატა დათუნაიშვილმა და ლევან ფანიაშვილმაც თერთმეტმეტრიანი დანიშნა. თბილისელებს არბიტრის გადაწყვეტილება დიდად არც გაუპროტესტებიათ. პენალტი კი იონანიძემ უნაკლოდ შეასრულა — 1:1.

თამაში ორმხრივ შეტევებში გაგრძელდა. სერგეი ნუდნიმ კარგად მოძებნა გიორგი თურმანიძე, რომლის დარტყმული მიზანს ასცდა.

ვეტერინარები უპირატესობის მოპოვებას ცდილობდნენ და გატანაც შეეძლოთ, მაგრამ უმეთვალყურეოდ დარჩენილმა გიორგი ბერიაშვილმა მასპინძელთა შეცდომით ვერ ისარგებლა — მისი დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

მეორე ნახევარში კობა ჟორჟიკაშვილმა ზურაბ ძამსაშვილის ნაცვლად ალექსი ბენაშვილი შეიყვანა და მანაც გაუმართლა. რომ იტყვიან, ბენაშვილმა ლომის წილი დაიდო ზესტაფონელთა გამარჯვებაში.

ტაიმი მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს და მალევე შეუტიეს — იონანიძის დარტყმული მიქაბერიძემ ვერ შეიმაგრა, თუმცა თბილისელებმა ხიფათის აცილება შეძლეს.

შეხვედრის დასრულებამდე 30 წუთი რჩებოდა, გიორგი დათუნაიშვილმა სახიფათოდ რომ ჩაჰკიდა საჯარიმოში, სადაც ეულად უმეთვალყურეო გიორგი მელქაძემ შანსი ვერ გამოიყენა.

63-ე წუთზე კი ალექსი ბენაშვილის ულამაზესი გოლი იყო, რომელიც ზესტაფონელთა ოთხსვლიან კომბინაციას მოჰყვა: ჩხეტიანი-იონანიძე-ბჟალავა-ბენაშვილი და 2:1.

ყველაფერი ცხადი გახდა, „ზესტაფონი“ ზედიზედ მეორედ გადის საქართველოს თასის ფინალში, თუმცა მატჩში საინტერესო მერეც ვნახეთ — ჩხეტიანმა ჯარიმა შეასრულა, მეკარემ ბურთი უხეიროდ მოიგერია და იქვე მყოფმა შალვა ლონღაძემ ანგარიშს საბოლოო სახე მისცა — 3:1.

ზესტაფონი. 2 მაისი. 16 საათი. ცენტრალური. 6 000 (ტევადობა 10 000)

**ზესტაფონი 3:1 ვიტ ჯორჯია (2:1)**

0:1 გელაშვილი (7), 1:1 იონანიძე (213), 2:1 ბენაშვილი (63), 3:1 ლონღაძე (73)

| | |
|---|---|
| **ზესტაფონი:** გ. ჭანტურია, გ. თურმანიძე, ს. თოდუა, შ. ლონღაძე, კ. ჩხეტიანი, ძამსაშვილი (ბენაშვილი 46), განუგრავა, ფიფია (გ. ჭელიძე 76), ბჟალავა, ნუდნი (ბ. ნოზაძე 61), იონანიძე<br>*სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე; ხიდეშელი, ძარია, გელაჭეიშვილი<br>**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი | **ვიტ ჯორჯია:** მიქაბერიძე, პ. დათუნაიშვილი, დ. ლომაია, ა. კვახაძე, გველესიანი, ფეიქრიშვილი, გ. მელქაძე (კვალინაძე 88), გ. დათუნაიშვილი (ლუჟაშვილი 74), დიღმელაშვილი, გელაშვილი (კლიმიაშვილი 83), ბერიაშვილი<br>*სათადარიგონი:* ლურბელეიშვილი; ჯაფარიძე, აფშილავა, ცხომარია<br>**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე |

**გაფრთხილება:** განუგრავა (26), ლომაია (31), ძამსაშვილი (42), კვახაძე (47), ბჟალავა (67), ბენაშვილი (75)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი; გ. ვადაჭკორია

**დამკვირვებელი:** ს. კვარაცხელია; **დირექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

## პრესკონფერენცია

*ნესტორ მუმლაძე:* იმედაშვილი ჩვენთვის დიდი ძალაა და სამწუხაროდ, იგი ტრავმის გამო დაგვაკლდა.

...თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული და საინტერესო გამოვიდა. ზესტაფონელებს გულწრფელად ვულოცავ გამარჯვებას და, დარწმუნებული ვარ, თასს ისინი აიღებენ.

*კობა ჟორჟიკაშვილი:* კომიკურმა გოლმა ჩვენზე ფსიქოლოგიურად ძალიან ცუდად იმოქმედა, მაგრამ მიხარია, რომ მეორე ტაიმში თამაშის შემობრუნება შევძელით. შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმაც გამიმართლეს.

...ჩემპიონატში დარჩენილ ორივე შეხვედრაში ძირითადი ბირთვის დასვენებას არ ვაპირებ — ფეხბურთელის დასვენება სათამაშო პრაქტიკაა.

# დიადორა საქართველოში გლდანიდან შემოვიდა



„ამერი“ — „სიონის“ სათასო ნახევარფინალურ შეხვედრას ქართული საფეხბურთო ბომონდის ბევრი წარმომადგენელი ესწრებოდა. იქვე იყო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, რომელიც გლდანს იტალიელ სტუმართან ერთად ეწვია — რიკარდო მაცოლენი „დიადორას“ წარმომადგენელია, გუშინ ჩამოფრინდა თბილისში და სამი დღის განმავლობაში მოლაპარაკებას გამართავს ფედერაციის ხელმძღვანელებთან.

უკვე გაცნობეთ, რომ „დიადორასთან“ კონტრაქტის გაფორმება თითქმის გადაწყვეტილია. დარჩენილია უმნიშვნელო დეტალები და ადგილობრივი ბაზრის პირველადი შესწავლა, რაც ფედერაციის მომავალი ტექნიკური სპონსორისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია. დღეს და ხვალ რიკარდო მაცოლენის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასას“ და ეროვნულ სტადიონს დაათვალიერებინებენ, იტალიაში გამგზავრებამდე კი, შესაძლოა, კონტრაქტიც გააფორმდეს.

**გიორგი ნოზაძე**


**ს.კ. ლოკომოტივი**
ახორციელებს
**ს.კ. ბარსელონას**
ტალანტების მოძიების პროგრამას
და ატარებს სელექციას
1991-1998 წლებში დაბადებულ
ბავშვებში. რეგისტრაციისათვის
გთხოვთ მობრძანდეთ 1 მაისიდან
20 მაისამდე (11-15 საათამდე)
მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე,
ჭავჭავაძის გამზირი №74.
თან იქონიეთ ბავშვის დაბადების
მოწმობა, ფოტოსურათი
და მშობლების პირადობის
დამადასტურებელი მოწმობა.
**საკონტაქტო ტელეფონი: 23-04-58**

# პაპი ლივორნოდან მიდის



**სერია A-ს** ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა კრისტიანო ლუკარელიმ ცოტა ხნის წინ თქვა, სეზონის ბოლოს მშობლიურ ქალაქს და კლუბ „ლივორნოს“ დავტოვებო. როგორც ჩანს, ეს ასეც იქნება, რადგანაც ლივორნოელთა პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ ვეტერან ფორვარდს მწვანე შუქი აუნთო.

საერთოდ, „ლივორნო“ სერია A-ს კვალობაზე ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი გუნდია და მაინც დიდ წარმატებებს აღწევს. მეტიც, რობერტო დონადონიმ შარშან ჩინებული გუნდი შექმნა და მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში კლუბი ხუთეულშიც ტრიალებდა, მაგრამ პატარა ჩავარდნისთანავე სპინელიმ თავკაცის დათხოვნა გადაწყვიტა, რასაც ახლა ძალიან ნანობს და ფანებსაც არაერთხელ მოუბოდიშა, მაგრამ უკვე გვიანია.

ზაფხულში კი კლუბს ლუკარელიც დატოვებს. კაცი, რომელიც „ლივორნოს“ კაპიტანიცაა, ლიდერიც, პელეც და მარადონაც. შეგიძლიათ, თავად იმსჯელოთ: გუნდს ამ სეზონში სულ 37 გოლი აქვს გატანილი და აქედან ნახევარზე მეტი, 19, ლუკარელიზე მოდის, მის სხვა დამსახურებებზე რომ არაფერი ვთქვათ. შარშან მან რამდენიმე მომხიბვლელი წინადადება უარყო, რათა მშობლიურ გუნდს დახმარებოდა და იმედი ჰქონდა, რომ „ლივორნო“ რომელიმე ევროტურნირის საგზურს მოიპოვებდა, მაგრამ...

ალდო სპინელი: „იტალიური გამოთქმაა, როცა პაპი კვდება, ახალს ირჩევენ. იგივე პრობლემა მქონდა იგორ პროტისთანაც, რომელიც ყოველ ზაფხულს კლუბის დატოვებას აპირებდა, მაგრამ საბოლოოდ კარიერა აქ დაასრულა. თუ ფეხბურთელს რომელიმე გრანდში სურს გადასვლა, რა უფლება მაქვს, ხელი შევუშალო“.

ბოლოს აღვნიშნოთ, რომ ლუკარელის „ინტერი“, „მილანი“, „ტოტენჰემი“ და პრემიერლიგის კიდევ რამდენიმე კლუბი უტრიალებს.

**კოკი კანდელაკი**



შარშან თურქებმა გაიხარეს

# პატარები პატარა ლუქსემბურგში

**დღეს** ლუქსემბურგში ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი იწყება. ფინალურ ეტაპზე რვა გუნდი ითამაშებს, რომლებიც ორ ჯგუფად დაყვეს. **A** ჯგუფში არიან: უნგრეთი, ლუქსემბურგი, ესპანეთი და რუსეთი, ხოლო **B**-ში — ბელგია, გერმანია, სერბეთი და ჩეხეთი.

შარშან ევროპის ჩემპიონები თურქები გახდნენ, რომლებმაც იტალიაში ჰოლანდიელები 2:0 დაამარცხეს.

ჯგუფური ეტაპი 8 მაისს დასრულდება, 11 მაისს ნახევარფინალები გაიმართება, რომელშიც ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები შეხვდებიან. 14-ში კი ჯერ მესამე ადგილისთვის მატჩი იქნება, ხოლო იმავ დღეს, მოგვიანებით ფინალი შედგება.

| XXXVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვილიარეალი | : | მალაგა |
| სევილია | : | ხეტაფე |
| კადისი | : | სოსიედადი |
| სელტა | : | ბარსელონა |
| ესპანიოლი | : | დეპორტივო |
| ბილბაო | : | სარაგოსა |
| ალავესი | : | ბეტისი |
| მალიორკა | : | ვალენსია |
| ატლეტიკო | : | ოსასუნა |
| **ხვალ** | | |
| რასინგი | : | რეალი |

# ესპანეთი
## ერთი ნაბიჯი ჩემპიონობამდე



**წინა ტურში** „ბარსელონას“ გაჩემპიონება „ვალენსიას“ მიერ „ალავესის“ განადგურებამ გადადო. კატალონიელებმა, მართალია, „კადისს“ სამი ქულა აართვეს, თუმცა მეორეადგილოსანმა „ღამურებმაც“ იძალეს და ყველაფერიც ალბათ დღეს გადაწყდება. „ბარსა“ საჩემპიონთალიგო ადგილის მოსურნე „სელტას“ სტუმრობს და და თუ რაიკარდის გუნდმა გაიმარჯვა, ჩემპიონობასაც კატალონიელები იზეიმებენ, მიუხედავად იმისა, „ვალენსია“ „მალიორკასთან“ რა შედეგს მიაღწევს. ბარსელონაში ინჩადა მატჩისწინა ვარჯიშზე რონალდინიოს არყოფნამ შეაშფოთა, ბრაზილიელს მუხლის ტკივილი აწუხებს, თუმცა „კამპ ნოუს“ ჯადოსნური კიჭა „ბალაიდოსზე“ აუცილებლად იქნება. ასევე, გუნდს დაუბრუნდება ოლეგერი, რომელმაც ტრავმის გამო „მილანთა“ და „კადისთან“ გამოტოვა თამაშები.

ფერნანდო ვასკესის „სელტამ“ გასულ შაბათს მოძულე მტერი „დეპორტივო“ დაამარცხა. ვიგოელების მიზანი გაისად ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრა გახლავთ. „სელტას“ თავდასხმაში ბრაზილიელი ბაიანო მძლავრობს, ცენტრი კი ესპანეთის ნაკრების სავარაუდო კანდიდატს, ბორხა ოუენიას აქვს ჩაბარებული. „ბარსასთან“ არგენტინელ მცველი დიეგო პლასენტე ვერ ითამაშებს, „დაჯარიმებული პატაგონილის ნაცვლად მოედანზე ხოსე ენრიკე გამოვა.

„ვალენსიას“, სავარაუდოდ, „მალიორკასთან“ ფაბიო აურელიო და ფრანსისკო რუფეტე დააკლდებიან. „ღამურათა“ დანარჩენი არმადა მწყობრშია და კუნძულელთა გასანადგურებლად იომებს. გუნდს სანცქიამოხდილი დავიდ ალბელდაც დაუბრუნდება.

მადრიდის „რეალი“ მესამე ადგილზეა და ხვალ სეგუნდაში გასავარდნად გამზადებულ „რასინგს“ სტუმრობს. სამეფო გუნდს დაჯარიმებული ძირითადი მეკარე იკერ კასილიასი ვერ დაეხმარება, ასევე ტრავმირებულთა: ზიდანის, ბაპტისტას და რონალდოს თამაშიც საეჭვოა.

მეოთხეადგილოსანი „ოსასუნა“ მადრიდის „ატლეტიკოსთან“ „ვისენტე კალდერონზე“ ჩადის საომრად, ხოლო „ბილბაო“, რომელიც პრიმერადივიზიონის არსებობის მანძილზე არასდროს სეგუნდაში არ გავარდნილა, მეჩვიდმეტე ადგილზეა და სტუმარი „სარაგოსას“ შეჭმას აპირებს. ესპანურ გაზეთებში ეწერა, ბასკებმა პრიმერაში დარჩენის ფიცი დადეს და „სარაგოსას“ ძალიან გაუჭირდება.

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 2:2 | 1:1 | 3:0 | 2:0 | 2:1 | 3:2 | 3:1 | 1:3 | 1:0 | 2:2 | | 5:0 | 5:1 | 4:1 | 2:0 | 2:1 | 1:0 | 2:0 | 2:0 | 34 | 23 | 7 | 4 | 74:29 | 76 | 14 | 3 | 1 | 43:15 | 45 | 9 | 4 | 3 | 31:14 | 31 |
| 2 | ვალენსია | 1:0 | | 0:0 | 2:0 | 2:0 | 0:2 | 2:2 | 1:1 | | 1:1 | 2:2 | 4:0 | 2:1 | 1:0 | 1:1 | 3:0 | 1:1 | 5:3 | 3:0 | 2:1 | 35 | 19 | 11 | 5 | 55:28 | 68 | 10 | 7 | 1 | 33:15 | 37 | 9 | 4 | 4 | 22:13 | 31 |
| 3 | რეალი | 0:3 | 1:2 | | 1:1 | 2:3 | 4:2 | 4:0 | 1:0 | 2:1 | | 1:0 | 4:0 | 1:1 | 0:0 | 1:2 | 4:0 | 3:1 | 3:1 | 3:0 | 2:1 | 35 | 19 | 9 | 7 | 61:31 | 66 | 11 | 3 | 4 | 37:18 | 36 | 8 | 6 | 3 | 24:13 | 30 |
| 4 | ოსასუნა | 2:1 | | 0:1 | | 2:0 | 1:0 | 1:2 | 0:4 | 2:1 | 2:1 | 1:1 | 2:0 | 2:0 | 0:2 | 1:1 | 1:0 | 3:2 | 2:0 | 3:2 | 1:1 | 35 | 19 | 5 | 11 | 45:40 | 62 | 11 | 3 | 4 | 26:19 | 36 | 8 | 2 | 7 | 19:21 | 26 |
| 5 | სელტა | | 0:1 | 1:2 | 2:0 | | 2:1 | 0:3 | | 2:1 | 1:0 | 4:0 | 1:0 | 1:0 | 2:1 | 0:1 | 2:0 | 0:1 | 2:0 | 2:1 | 2:0 | 35 | 19 | 3 | 13 | 42:30 | 60 | 12 | 0 | 5 | 24:12 | 36 | 7 | 3 | 8 | 18:18 | 24 |
| 6 | სევილია | | 1:0 | | 0:1 | 1:0 | | 0:2 | | 0:0 | 2:0 | 1:1 | 1:1 | 3:2 | 1:0 | 1:0 | 1:1 | 2:1 | 0:0 | 2:0 | 3:1 | 34 | 16 | 8 | 10 | 42:34 | 56 | 9 | 5 | 2 | 19:10 | 32 | 7 | 3 | 8 | 23:24 | 24 |
| 7 | დეპორტივო | 3:3 | 0:1 | 3:1 | 0:1 | 0:2 | 0:0 | | 1:0 | 1:0 | 0:2 | 1:1 | 1:2 | 0:1 | 1:1 | 2:0 | 2:2 | | 1:0 | 0:2 | 2:1 | 35 | 14 | 10 | 11 | 44:41 | 52 | 6 | 5 | 7 | 18:20 | 23 | 8 | 5 | 4 | 26:21 | 29 |
| 8 | ხეტაფე | 1:3 | 2:1 | 1:1 | 0:0 | 1:1 | 1:0 | 1:2 | | 0:3 | 1:1 | 5:2 | 5:0 | 2:1 | 1:0 | 1:2 | 1:1 | 1:1 | | 2:2 | 3:2 | 35 | 14 | 9 | 12 | 51:44 | 51 | 7 | 7 | 4 | 29:23 | 28 | 7 | 2 | 8 | 22:21 | 23 |
| 9 | ატლეტიკო | 2:1 | 0:0 | 0:3 | | 0:3 | 0:1 | 3:2 | 0:1 | | 1:1 | 0:0 | 1:1 | 1:0 | | 2:1 | 0:1 | 1:0 | 3:0 | 1:1 | 5:0 | 35 | 13 | 11 | 11 | 43:34 | 50 | 7 | 5 | 5 | 20:16 | 26 | 6 | 6 | 6 | 23:18 | 24 |
| 10 | ვილიარეალი | 0:2 | 1:0 | 0:0 | 2:1 | 1:2 | 1:1 | 1:1 | 2:1 | 1:1 | | 0:0 | 4:0 | 0:2 | 1:2 | | 3:0 | 3:1 | 1:1 | 3:2 | | 35 | 12 | 14 | 9 | 43:35 | 50 | 7 | 6 | 4 | 24:17 | 27 | 5 | 8 | 5 | 19:18 | 23 |
| 11 | სარაგოსა | 0:2 | 2:2 | 1:1 | 3:1 | 1:0 | 0:2 | 1:1 | 1:2 | 0:2 | 0:1 | | 1:1 | 0:1 | 4:3 | 1:1 | 3:1 | 3:2 | 1:2 | | 1:1 | 35 | 9 | 16 | 10 | 42:47 | 43 | 5 | 6 | 7 | 23:26 | 21 | 4 | 10 | 3 | 19:21 | 22 |
| 12 | ესპანიოლი | 1:2 | 1:3 | 1:0 | 2:4 | 2:0 | 5:0 | | 0:2 | 1:1 | 1:2 | 2:2 | | | 2:0 | 0:2 | 2:0 | 1:1 | 0:2 | 2:1 | 3:1 | 35 | 10 | 10 | 15 | 36:53 | 40 | 7 | 3 | 7 | 26:23 | 24 | 3 | 7 | 8 | 10:30 | 16 |
| 13 | სოსიედადი | 0:2 | 1:2 | 2:2 | 1:2 | | 1:2 | 2:0 | 3:0 | 3:2 | 1:3 | 1:3 | 0:1 | | 1:1 | 1:0 | 2:1 | 3:3 | 2:0 | 2:1 | 3:0 | 35 | 11 | 5 | 19 | 44:60 | 38 | 8 | 3 | 7 | 29:25 | 27 | 3 | 2 | 12 | 15:35 | 11 |
| 14 | ბეტისი | 1:4 | 0:2 | 0:2 | 1:0 | 0:2 | 2:1 | 0:1 | 1:0 | 1:0 | 2:3 | 0:0 | 0:0 | 2:0 | | 1:0 | | 1:1 | 1:1 | 3:0 | 1:1 | 35 | 9 | 11 | 15 | 31:47 | 38 | 7 | 5 | 6 | 17:18 | 26 | 2 | 6 | 9 | 14:29 | 12 |
| 15 | რასინგი | 2:2 | 2:1 | | | 0:1 | 2:3 | 0:3 | 1:3 | 0:1 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 2:2 | 1:1 | | 0:0 | 0:1 | 0:1 | 1:2 | 1:1 | 35 | 8 | 13 | 14 | 32:43 | 37 | 3 | 6 | 8 | 14:22 | 15 | 5 | 7 | 6 | 18:21 | 22 |
| 16 | მალიორკა | 0:3 | | 2:1 | 0:1 | 1:0 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 2:2 | 1:1 | | 0:0 | 5:2 | 1:1 | 0:0 | | 0:1 | 1:0 | 0:0 | 1:4 | 35 | 8 | 13 | 14 | 31:47 | 37 | 4 | 8 | 5 | 16:19 | 20 | 4 | 5 | 9 | 15:28 | 17 |
| 17 | ბილბაო | | 0:3 | 0:2 | 1:0 | 1:1 | 0:1 | 1:2 | 1:0 | 1:1 | 1:1 | | 1:1 | 3:0 | 2:0 | 0:0 | 1:1 | | 1:0 | 0:2 | 1:2 | 35 | 8 | 12 | 15 | 34:44 | 36 | 5 | 6 | 6 | 15:17 | 21 | 3 | 6 | 9 | 19:27 | 15 |
| 18 | კადისი | 1:3 | 0:1 | 1:2 | 1:3 | 1:1 | 0:4 | 1:1 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 1:2 | 2:0 | | 1:1 | 1:1 | 1:2 | 1:0 | | 0:0 | | 35 | 7 | 11 | 17 | 28:47 | 32 | 3. | 7 | 7 | 15:23 | 16 | 4 | 4 | 10 | 13:24 | 16 |
| 19 | ალავესი | 0:0 | 0:1 | 0:3 | 1:2 | 1:0 | 2:1 | | 3:4 | 0:1 | 1:1 | 0:2 | 1:1 | 3:1 | | 2:2 | 0:3 | 0:0 | 0:0 | | 3:2 | 35 | 7 | 11 | 17 | 33:53 | 32 | 4 | 6 | 7 | 17:24 | 18 | 3 | 5 | 10 | 16:29 | 14 |
| 20 | მალაგა | 0:0 | 0:0 | 0:2 | 1:2 | 0:2 | | 1:1 | 1:2 | 0:2 | 0:0 | 0:1 | 1:2 | 3:1 | 5:0 | 2:3 | 0:2 | 2:1 | 0:2 | 0:0 | | 35 | 5 | 9 | 21 | 35:59 | 24 | 3 | 5 | 10 | 16:23 | 14 | 2 | 4 | 11 | 19:36 | 10 |

# ბენფიკადან პსვ-ში მიმავალო კაცო



„პსვ ეინდჰოვენმა“ რონალდ კუმანს და მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგაში გაძღოლა სთხოვა. მიზეზი: ჰოლანდიის ჩემპიონს გუს ჰიდინკი ტოვებს. ჰიდინკი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ რუსეთის ნაკრების თავკაცი ხდება.

მოგეხსენებათ, ამჟამად კუმანი პორტუგალიაში, კერძოდ „ბენფიკაში“ მუშაობს, თუმცა, როგორც ლისაბონური გაზეთი „ბოლა“ იუწყება მას ეინდჰოვენში უკვე შემდეგი კვირის დასაწყისში ელიან.

„ჩვენ კუმანს შემდეგი კვირის ორშაბათს ან სამშაბათს შევხვდებით“ — უთხრა „ბოლას“ პსვ-ს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, თუმცა კუმანის აგენტი გერიტ ლაგენდიკი სხვას ამბობს:

„ეს ჭორია და მეტი არაფერი. ჩემს კლიენტს პორტუგალიაში წინ კიდევ მთელი წელიწადი აქვს“.

რონალდ კუმანმა მიმდინარე სეზონში „ბენფიკა“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაიყვანა, საიდანაც ლისაბონელები „ბარსელონამ“ გამოაგდო, მაგრამ გუნდს მომავალ ლიგაში ადგილი არ აქვს დაბევებული, მაშინ, როდესაც ჰოლანდიის 19 გზის ჩემპიონს დიდ შეჯიბრებაში ადგილი გარანტირებული აქვს და ამან კუმანზე შესაძლოა გადამწყვეტი შთაბეჭდილება მოახდინოს. შეგახსენებთ, რომ რონალდ კუმანი, ფეხბურთელობისას 1992 წელს „ბარსელონას“ შემადგენლობაში გახდა ჩემიონთა ლიგის გამარჯვებული და მეტიც, ფინალში, „სამპდორიას“ კარში ერთადერთი გოლი სწორედ მან გაიტანა საჯარიმო დარტყმით.

**პაპუნა ძედია**

# კირინი თავმოყვარეთა ამოსაცნობად

**იაპონიის** ნაკრების მწვრთნელი, 80-იანი წლების დიდი ბრაზილიელი ვარსკვლავი ზიკო, ამომავალი მზის ქვეყნის ბიჭებს „კირინის თასზე“, ბულგარეთსა და შოტლანდიასთან საბრძოლოდ განაწყობს და თავმოყვარეობის გრძნობის გამძაფრებისკენ მოუწოდებს. ზიკოს რწმენით მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ასეა საჭირო.

„ყველა მოთამაშეს ერთი რამ ევალება, მსოფლიოს ჩემპიონატზე იაპონია უნდა ასახელონ. შესაბამისად, გერმანიაში წასაყვანად მხოლოდ თავმოყვარე ფეხბურთელებს შევარჩევ — თქვა ზიკომ და დასძინა — ბულგარეთი და შოტლანდია ძლიერი გუნდებია,რომელთაც მსოფლიოს ჩემპიონატზე უთამაშიათ და ძალიან კარგადაც. მათთან ჭიდილში ჩემმა მოთამაშეებმა უნდა აჩვენონ, რა ისწავლეს ბოლო ოთხი წლის განმავლობაში“.

შემდეგ ზიკომ თქვა, რომ მას სამთა ტურნირზე ევროპაში მოთამაშე იაპონელების, „ბოლტონის“ ჰიდეტოში ნაკატასა და „სელტიკის“ შუნსუკე ნაკამურას მიწვევაც სურდა, მაგრამ მათ კლუბები არ უშვებენ.

„კირინის თასისთვის“ ბრაზილიელმა მწვრთნელმა ფაქტობრივად იგივე ხალხი შეარჩია, რომელთა მეშვეობითაც აპრილში ეკვადორს მოუგო 1:0. ერთადერთი დანაკლისია თავდამსხმელი იანაგისავა, რომელიც ჯეი ლიგის მატჩში დაშავდა.

„ხვალ რომ ვთამაშობდეთ, ნახევარდაცვაში შინჯი ონოს, კეისუკე ცუბოის, მიცუო ოგასავარასა და ალექსს ვათამაშებდი. ჩემი მიზანი „კირინის თასზე“ გამარჯვებაა“ — ბრძანა ზიკომ.

იაპონია ბულგარეთს 9 მაისს ხვდება, ხოლო შოტლანდიას 13 მაისს. რაც შეეხება ორ ევროპულ გუნდს ისინი 11 მაისს დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მსოფლიოს ჩემპიონატზე კი იაპონია F ჯგუფში ბრაზილიას, ხორვატია და ავსტრალიას უნდა შეებრძოლოს.

**პაპუნა ძედია**

*მეკარეები: დოი (ტოკიო), კავაგუჩი (ჯუბილო ივატა), ნარაზაკი (ნაგოია);*
*მცველები: ტანაკა (ივატა), მიამოტო (გამბა ოსაკა), სანტოსი (ურავა), ნაკაზავა (იოკოჰამა), ცუბოი (ურავა), მურაი (ივატა), კაჯი (ტოკიო), კომანო (ჰიროშიმა), მინოვა (ტოკიო)*
*ნახევარმცველები: ფუკუნიში (ივატა), ოგასავარა (კაშიმა), მოტოიამა (კაშიმა), ონო (ურავა), ენდო (ოსაკა), აბე (ჯეფ იუნაიტედი), ჰასებე (ურავა);*
*თავდამსხმელები: კუბო (იოკოჰამა), ტამადა (ნაგოია), მაკი (ჩიბა), სატო (ჰიროშიმა)*



ზიკო იაპონელებს ერთხელაც გამოცდის

# ლიპიმ იცის და მალავს



**მარჩელო ლიპიმ** გუშინ შეკრიბა 29 ფეხბურთელი და უკვე იცის, თუ ვინ მოხვდება სამსოფლიოსჩემპიონატო 23-კაციან განაცხადში. მათ შორის აუცილებლად იქნება ფრანჩესკო ტოტი, რომელიც ფორმაში ნელ-ნელა შედის და ბურთსაც დასდევს. „15 მაისისთვის 23 კაცს დავასახელებ და ახლავე ვიცი, ვინ მოხვდება ამ განაცხადში. 29 კი გამოვიძახე, მაგრამ აქედან რამდენიმე ფეხბურთელი სამომავლო გეგმებისთვის, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მჭირდება. ისინი იმ პროექტის ნაწილად მიმაჩნია, რომელიც დავიწყე და მუნდიალის მერეც გაგრძელდება. არ დაგავიწყდეთ, რომ აგვისტოში ამხანაგური მატჩი გველის, შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იწყება. ამ შეკრებაზე მოვიყვანე რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, რომლებსაც მუნდიალზე წასვლის უმცირესი შანსი აქვთ, მაგრამ მათ უნდა იგრძნონ და იამაყონ, რომ იტალიის ნაკრებს სჭირდებიან. რაც შეეხება ტოტის, ყველაფერი კარგად მიდის და, ალბათ, საგერმანიოდ სათანადო ფორმაში იქნება, ხოლო კრისტიან ვიერი ტრავმისგან ახალმორჩენილია და ამიტომ ვერ გამოვიძახე, თუმც 15 მაისამდე დრო კიდევ მაქვს“.

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩები

**სანდერლენდი 0:3 არსენალი**

0:1 კოლინზი (29ს.კ.), 0:2 ფაბრეგასი (40), 0:3 ანრი (43)

**სანდერლენდი:** კელვინ დევისი, ბრინი, მაკკარტნი, ნოსვორთი, დ. კოლინზი, ტ. მილერი (ლიდბიტერი 82), უიტიჰიდი, კ. ბრაუნი, კილი, დერილ მერფი (დ. სმიტი 62), სტიდი (ლე ტალეკი 33)

მწვრთნელი: მიკ მაკარტი

**არსენალი:** ლემანი, ებუ, კ. ტურე, ს. კემპბელი, კლიჩი, დიაბი, ფაბრეგასი, პირესი (ეშლი კოული 66), ა. სონგი, ანრი (ბერხკამპი 72), ადებაიორი (ვან პერსი 65)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: კილი, მაკკარტნი, სმიტი

მსაჯი: გალაშერი

44 003 მაყურებელი

**მანჩესტერი 0:0 მიდლსბრო**

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვ. ბრაუნი, ევრა (კ. რიჩარდსონი 56), გიგზი, სილვესტრი, ოში, პარკი (რონალდუ 56), ვან ნისტელროი, საა (ჯ. როსი 81)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

**მიდლსბრო:** ბ. ჯონსი, რიგოტი, პარნაბი, კედრუ (ე. ტეილორი 64), ბეიტსი, ჯ. ბოატენგი, კეტერმოლი, დაუნინგი, ჯ. მორისონი (კრისტი 72), როჩემბაკი, მაკარონე (პარლოუ 80)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

გაფრთხილება: ბეიტსი, როჩემბაკი, ნევილი, სილვესტრი

მსაჯი: ფოი

69 531 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 0:1 ვესტ ჰემი**

0:1 რეო-კოკერი (42)

**ვესტ ბრომვიჩი:** კუშჩაკი, ალბრეხტსენი, კერტის დევისი, პ. რობინსონი, უოლვორკი, ს. უოტსონი, ჯ. გრინინგი, ქვოში, ელინგტონი, გერა, ნ. კანუ

მწვრთნელი: ბრაიან რობსონი

**ვესტ ჰემი:** ჰისლოპი, უორდი, გაბიდონი, დეილი (კონჩესკი 73), კ. ფლეტჩერი, ნიუტონი, კ. რიდი, რეო-კოკერი, სკალონი, ეშტონი (შერინგემი 23), ზამორა (ჰერვუდი 71)

მწვრთნელი: ალან პერდიუ

მსაჯი: პოლი

24 462 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 36 | 29 | 4 | 3 | 72:21 | 91 |
| მანჩესტერი | 37 | 24 | 8 | 5 | 68:34 | 80 |
| ლივერპული | 37 | 24 | 7 | 6 | 54:24 | 79 |
| ტოტენჰემი | 37 | 18 | 11 | 8 | 52:36 | 65 |
| არსენალი | 36 | 18 | 7 | 11 | 61:28 | 61 |
| ბლექბერნი | 36 | 17 | 6 | 13 | 48:42 | 57 |
| ნიუკასლი | 37 | 16 | 7 | 14 | 46:42 | 55 |
| ბოლტონი | 36 | 14 | 10 | 12 | 47:40 | 52 |
| ვესტ ჰემი | 37 | 15 | 7 | 15 | 51:54 | 52 |
| უიგანი | 37 | 15 | 6 | 16 | 43:48 | 51 |
| ევერტონი | 37 | 14 | 7 | 16 | 32:47 | 49 |
| ჩარლტონი | 37 | 13 | 8 | 16 | 41:51 | 47 |
| ფულემი | 36 | 13 | 6 | 17 | 46:56 | 45 |
| მიდლსბრო | 36 | 12 | 8 | 16 | 47:56 | 44 |
| სიტი | 36 | 13 | 4 | 19 | 42:43 | 43 |
| ასტონ ვილა | 37 | 9 | 12 | 16 | 40:54 | 39 |
| პორტსმუთი | 37 | 10 | 8 | 19 | 36:59 | 38 |
| ბირმინგემი | 37 | 8 | 10 | 19 | 28:49 | 34 |
| ვესტ ბრომვიჩი | 37 | 7 | 8 | 22 | 29:56 | 29 |
| სანდერლენდი | 36 | 2 | 6 | 28 | 23:66 | 12 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. VI ტური

არადა, გოგობერიშვილი „აზოტის" შეტევების სულისჩამდგმელი იყო ზვიად ბაბიაშვილთან ერთად. ეს ტანდემი ისეთ ეპიზოდებში იხვეჭდა ქულებს, როცა მასპინძლებს ყველაზე მეტად უჭირდათ. რამაზმა სამქულიანით გახსნა ანგარიში და რუსთაველები 10:2 რომ დაწინაურდნენ, მისი დამსახურება იყო, თუმც...

სტუდენტების თავკაცმა დავით უსტიაშვილმა უმალ წუთშესვენება აიღო და თავისიანებს ისეთი დავალება მისცა, რომ ნიკორელებმა 9-ქულიანი მშრალი გარღვევა მოუწყვეს მასპინძლებს და 11:10 გალიდერდნენ.

ვაკო ბეჟანიშვილი და დავით მუშკუდიანი ფარქვეშ ტოლს არავის უდებდნენ და როცა მათ ხელი ბესიკ ლეჟავამაც შეაშველა, თბილისელებმა თვალში გამოიხედეს.

სტუდენტებმა საკუთარი სამწამიანის გაკონტროლება მოახერხეს, რაც იმაში გამოიხატა, რომ შიგ მასპინძლებს არ უშვებდნენ და პერიმეტრსმიღმიდან მოწადინებული რუსთაველები კი ხშირ შემთხვევაში ცდებოდნენ.

ასე მოიპოვა თსუ-მ უპირატესობა, მეორე მეოთხედის ახალდაწყებულზე 5 ქულითაც დაწინაურდა, მაგრამ რუსთაველები მშობლიური დარბაზის ფარებმა არ გაწირა და ზუსტი სროლით არასდროს გამორჩეულმა ჟოლივეტ ტუჯანმაც ორი სამქულიანი მოინადირა.

„აზოტმა" დაცვაში საქმე გამოასწორა და რაკი საკუთარი ფარი უსაფრთხოდ დაიგულა, შეტევისთვისაც მოიცალა. ზვიად ბაბიაშვილმა, როგორც იქნა, მოარგო გასაღები თბილისელთა კალათს და როცა მას კამერუნელი ტუჯანიც შეეხიდა, ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა 12-ქულიანი ლიდერობა მოიპოვეს.

ამის მერე გაჩაღდა თსუ-ელთა ვაინაჩრობა, სხვაობა გაებათილებინათ, რამაც ბოლო წუთებამდე გასტანა და რაც ენდშპილში მოხდა, თავში უკვე გიამბეთ.

სხვათა შორის, თსუ-ელები მსაჯობით უკმაყოფილონი დარჩნენ და გუნდის ხელმძღვანელობა ნამატჩევს თამაშის გაპროტესტებას ეშურებოდა. რა გითხრათ, მსაჯობა ისეთი არ ყოფილა, ჩვენს ჩემპიონატში ჯერ რომ არ გვინახავს და თუ არბიტრებს შეცდომები ჰქონდათ, ამას თამაშის შედეგზე გავლენა, ალბათ, არ მოუხდენია.

სერიის მომდევნო მატჩი ხვალ რუსთავშივე გაიმართება და თუ მასპინძლები კვლავ იმარჯვებენ, ფინალში გავლენ, სადაც ბოლოს 2000 წელს უთამაშიათ.




# კლიპერსის კლიპი ლოს ანჯელესშიც გამოიდარა

1 მაისი

**აღმოსავლეთი**

**დეტროიტი 3:1 მილუოკი**

**მილუოკი 99:109 დეტროიტი**

**მილუოკი:** რედი (33), ფორდი (21), ბელი (12)
**დეტროიტი:** ბილაფსი (34), პრინსი (18), ჰამილტონი (18)

ჩავლილი რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ჩონსი ბილაფსი არც პლეი ოფში ქექავს ნაცარს, აქაც ერთ-ერთი გამორჩეულია და ორშაბათს კიდევ ერთი მოგება პირადად აჩუქა აღმოსავლეთის მთავარ ფავორიტ „დეტროიტს". ისე კი, ფავორიტებს ლიდერის გმირობები არ დასჭირდებოდათ, პირველ ტაიმში მოპოვებული 15-ქულიანი უპირატესობა რომ არ გაენიავებინათ. მასპინძელთა გამთამაშებელმა თიჯეი ფორდმა მეოთხე მეოთხედის დასაწყისში 76:74 დააწინაურა „მილუოკი" და მანამდეც მშვენივრად მობურთალმა ბილაფსმაც მერე სულ აიწყვიტა — ერთი უმნიშვნელოვანესი სამქულიანი გაისროლა და ზედიზედ 6 საჯარიმო გამოიყენა, სულ კი ბოლო მეოთხედში 13 ქულა გააზერხა. ესეც სათქმელია: ჩონსიმ 16 საჯარიმოდან 16-ვე ჩაუშვა „მილუოკის" კალათში.

**დასავლეთი**

**დალასი 4:0 მემფისი**

**მემფისი 76:102 დალასი**

**მემფისი:** გასოლი (25), მილერი (10)
**დალასი:** ნოვიცკი (27), ჰოვარდი (24), სტეკჰაუზი (19)

მხოლოდ „დალასმა" შეძლო პირველი რაუნდის დაუმარცხებლად მოლევა. ტეხასელებმა 4:0 შემუსრეს „მემფისი" და გვარიანადაც დაისვენებენ, სანამ მათი მომდევნო მეტოქე გამოვლინდება. „დალასი" მეორე წრეში „სან ანტონიოსა" და „საკრამენტოს" შორის გამარჯვებულს შეხვდება, ამათ შორის ანგარიში კი ჯერ მხოლოდ 2:2 გახლავთ.

„მემფისი" ზედიზედ მესამედ გავარდა პლეი ოფიდან თამაშმოუგებლად და ზედიზედ 12 საპლეიოფო მარცხიც დაიგროვა, რაც ყველა დროის რეკორდია. ეს გუნდი დღემდე ერთადერთად რჩება, ვისაც პლეი ოფში თამაში არასდროს მოუგია.

**დენვერი 1:4 კლიპერსი**

**კლიპერსი 101:83 დენვერი**

**კლიპერსი:** მობლი (23), მეჯიტი (23), ბრენდი (21 ქულა, 13 მოხსნა)
**დენვერი:** ენტონი (23), ბაკნერი (20), მილერი (15)

„ლოს ანჯელეს კლიპერსმა" ხუთ თამაშში მოუთავა ხელი შინაარეულობებით დასუსტებულ „დენვერ ნაგიტს" და 30 წლის შემდეგ პირველად გაიარა პლეი ოფის საწყისი რაუნდი. ბოლოს ამ კლუბმა საპლეიოფო სერია 1976 წელს მოიგო, როცა „ბუფალოს" სახელით თამაშობდა და აღმოსავლეთ კონფერენციაში ბინადრობდა. კლუბის ისტორია საკუთარი თავის ძიების ისტორიაა, 1978 წელს გადავიდა სან დიეგოში, 1984 წელს კი ლოს ანჯელესში, მაგრამ ბობოლებში ფეხის მოკიდებას ვერაფრით ახერხებდა. ახლა „კლიპერსი" 1997 წლის შემდეგ პირველად მოხვდა პლეი ოფში და, როგორც ხედავთ, მხოლოდ მოხვედრით არ დაკმაყოფილდა.

# დიაუს დიდი ნახტომი

## ამერიკაში ქართველიც შენიშნეს



**124-მა** ამერიკელმა და კანადელმა საკალათბურთო ჟურნალისტმა გუშინწინ რეგულარული სეზონის კიდევ ერთი ლაურეატი დაასახელა. სეზონის ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის პრიზი „ფინიქს სანზის" ფრანგ ფორვარდ ბორის დიაუს დარჩა, ვინაც გამოკითხვაში 80 პირველი, 28 მეორე და 5 მესამე ხმა მიიღო, სულ 489 ქულა დაუგროვდა და 205-ით აჯობა ნიუორლეანელ მეფარე დევიდ ვესტს.

დიაუ წინა სეზონში „ატლანტა ჰოქსში" თამაშობდა და საშუალოდ 4,6 ქულას, 3,6 მოხსნასა და 2,4 პასს აგროვებდა. 2005 წელს კი იგი „ფინიქსში" გადავიდა და ყოველი თამაშიდან საშუალოდ 13,3 ქულა, 6,9 მოხსნა და 6,2 პასი გამოიტანა. სხვაობა ყველასთვის თვალსაჩინო გამოდგა და ეს გამოკითხვაშიც აისახა.

ორი მესამე ხმა მიიღო და 22-ე ადგილი შეხვდა „ატლანტას" ქართველ ცენტრ ზაზა ფაჩულიას, რაც უნიკალური შემთხვევაა — ოკეანგაღმელ ჟურნალისტებს აქამდე არც ერთი ქართველი არ შეუნიშნავთ რაგინდარა გამოკითხვაში.

# NBA-ს ლეგენდები

## ბილ რასელი



# მან გააფერადა კალათბურთი

**მაღალი**, გამხდარი შავი კაცი ფარქვეშ დგას და მოედანს ზევიდან ზვერავს, წვრილმანებსაც არ ტოვებს უყურადღებოდ. მეტოქე გუნდის შეტევაა და მის წინ 9 თეთრი მოთამაშე ირევა. აი, ბობ კოუზის ოპონენტი გაექცა, დრიბლინგით შემოვიდა, ახტა და... შავმა კაცმა დაუფარა. შორს გადავარდა ბურთი, პირდაპირ კოუზის მიუვიდა ხელებში და ესეც თავქუდმოგლეჯილი მიარბენინებს საპირისპირო ფართან — 2 ქულა.

წამოიღო მეტოქემ ბურთი და დალაგდნენ გუნდები ამათ ნახევარზე. ისევ გაექცა კოუზის მეურვე, ისევ შემოიჭრა და ეს ისევ უფარებს. „კარგი კალათბურთელია, მაგრამ ჯიუტია. ძალიანაც კარაგი" — ფიქრობს ეს შავი კაცი. მომდევნო შეტევაში ბობ კოუზიმ უკვე შეგნებულად გაატარა მეტოქეთა გამთამაშებელი და ახმახმა ზანგმა, რაღა თქმა უნდა, ისევ დაუფარა... მეტოქეთა მწვრთნელს გაგიჟებას არაფერი უკლია.

9 თეთრი და ერთი ზანგი?! ამერიკაში დღეს ასეთ სურათს ვეღარ ნახავთ. როგორი სხვანაირი იყო მაშინ კალათბურთი, თანამედროვე ტემპს და გაქანებას ვერც შეედრებოდა, მაგრამ მაინც რეაქტიული 50-60-იანი წლების ევროპულთან შედარებით. გოგი ავალიშვილმა ნბა-ს თამაშების ფირები რომ ჩამოიტანა და ხალხს აზიარა, „ვააა" და „უუუ"-ს ამოძახილებით უყურებდნენ თბილისელები ბურთის ჯადოქრებს.

ზანგებმა რომ კალათბურთში ფეხი მოიკიდეს და თეთრები შეავიწროვეს, დიდწილად იმ მაღალი ზანგის დამსახურებაა. იგი გახლდათ უილიამ ფელტონ რასელი, უბრალოდ კი ბილ რასელი. სიმართლე ითქვას, არც ძალიან მაღალი იყო და არც ვარსკვლავი, ამ ცნების კლასიკური გაგებით. იატაკიდან 2 მეტრისა და 6 სანტიმეტრს აითვლიდა და თამაშში საშუალოდ 15 ან ოდნავ მეტ ქულას აგროვებდა. იმ დროს და მერეც ლიგაში მრავლად იყვნენ უფრო მაღალი და მეტქულიანი მოთამაშეები, თანამედროვე ნბა-ში ხომ ასეთი აღნაგობის კალათბურთელი ყოველ გუნდს სულ მცირე 5-6 ჰყავს, მაგრამ როდესაც ოკეანგაღმა სჯა-ბაასი გახურდება და გამოკითხვები ტარდება, ბილ რასელს ბევრი აყენებს მაიკლ ჯორდანზე წინ. ჯორდანზე მაგარი?! კი, მაგრამ როდის თამაშობდა? და საერთოდ, ვინ იყო?! მის სამშობლოში ამას არავინ იკითხავს, ჩვენ კი ნუ დავიზარებთ და უფრო ახლოს გავიცნოთ პირველი შავი ლეგენდა.

„სელტიქსში" მისი თანაგუნდელი, მერე კი დიდი მწვრთნელი დონ ნელსონი მოგვიანებით იტყვის — „სუპერვარსკვლავები ორი ტიპისანი არიან. ერთნი მოედანზე სხვათა ფერმკრთალების ფონზე ბრწყინავენ, ხოლო მეორენი გვერდით მდგომებს უკეთეს კალათბურთელებად აქცევენ. რასელი მეორე ტიპს განეკუთვნებოდა."

გუნდური მოთამაშე — ორი სიტყვით ასე დახასიათდება რასელი. ის რომ არა, „ბოსტონ სელტიქსს" დღესაც „ბორტონ სელტიქსი" კი ერქმეოდა, მაგრამ ამ გუნდის სახელი არ შეიბურვებოდა დიდების მწვანე ნისლით და ნბა-ს ისტორიას მის პირველმქმნელად კი არა, რიგით კლუბად შემორჩებოდა, როგორც ათეულობით სხვა. რამე თუ გაგიგიათ, მაგალითად, „სირაკუზ ნეშნელზზე", ანაც „როჩესტერ როიალზზე"? არადა, ესენი ნბა-ს ჩემპიონები იყვნენ... რას იტყვით „ტრისიტი (!) ბლექჰოქსზე"? „შიბოიგენ რედსკინზი" რა დოზანაა? სულ სხვაა „სელტიქსი", ჯიუტი, მეომარი და მოჩხუბარი გუნდი, კელტური ჯიგარით მომართული. 16-ჯერ იჩემპიონა და აქედან 11 ფინალი რასელის მხრებით ასწია. ამდენი ტიტული სხვას არავის აქვს, არც ჯორდანს, არც ჯონსონს, არც ჯაბარს — არც ერთ მოთამაშეს და არც ერთ მწვრთნელს. იმდენი საჩემპიონო ბეჭედი აქვს, თითები არ ჰყოფნის. შეუძლია, მძივად ასხმული ჩამოიკიდოს კისერზე... 5-გზის სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, 12-გზის ოლსტარელი...

მოკლედ, ტიტულები და ჯილდოები არ აკლდა, მაგრამ რეალურად რასელი ნამდვილად არ გახლდათ ჯილდოებს და ასეთ რამეებს გამოდევნებული კაცი. ის თამაშობდა კალათბურთს ცოტა ხსვანაირად, ვიდრე სხვები, ისე, როგორც თავად თვლიდა საჭიროდ. სახელი, დიდება და ტიტულები კი თავისით მოდიოდა და მოდიოდა.

1956 წელს რომის ოლიმპიადა მოიგო და ასე, უკვე ტიტულიანსახელიანმა შეაბიჯა ნბა-ში. მაშინ ის 21 წლისა იყო და ყველაფერი წინ ჰქონდა. რამდენს ინანებს „სენტ ლუისის" მფლობელი ბენ კერნერი, 1956 წლის დრაფტზე არჩეული რასელი „ბოსტონის" მწვრთნელ რედ აუერბახს ვარსკვლავ ედ მაკოლიში რომ გაუცვალა. წარმოშობით სენტლუისელ მაკოლის უკვე რამდენიმე ოლ სტარი ჰქონდა მოლეული და მშობლიურ ქალაქში მისი ხილვა ძალიან სურდათ. გაცვლამ სენტლუისელებს თითქოს გაუმართლათ კიდეც, 1958 წელს მაკოლიმ და ლეგენდარულმა ბობ პეტიტმა „სენტ ლუისი" აჩემპიონეს, მაგრამ ეს ერთი ჩემპიონობა, აბა, როგორ მივა რასელის 11 ტიტულთან.

ჭკვიან და მოქნილ ებრაელ რედ აუერბახს თავისი გეგმა და სტრატეგია ჰქონდა — აგურს აგურზე დებდა და დიდ გუნდს ასე აშენებდა. აუერბახს „სელტიქსში" უკვე ჰყავდა მოუხელთებელი გამთამაშებელი ბობ კოუზი, ჩებინი მსროლელი ბილ შარმენი და კარგ ცენტრს ეძებდა. რასელი კარგი არჩევანი ჩანდა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდა, რამდენად კარგი.

1956 წლის დრაფტი დოვლათიანი გამოდგა „ბოსტონისთვის". აუერბახს ორი უხვქულიანი მოიერიშე ფორვარდიც შეხვდა — ტომ ჰეინსონი და სან ფრანცისკოს უნივერსიტეტის გუნდში რასელის თანაგუნდელი კეისი ჯონსი. „კელტებს" არ უჭირდათ თამაშში 120-130 ქულის მოგროვება, კოუზის დირიჟორობით „სელტიქსი" შეტევაში დაფრინავდა. ასეთ ხალხში 15-ქულიანი რასელი როგორ უნდა გამორჩეულიყო, მაგრამ...

დიდმა ზანგმა აუერბახის უთქმელადაც იცოდა თავისი ადგილი მოედანზე. ის საკუთარი ფარის წინ იდგა და დაუღალავად შრომობდა — მოწინააღმდეგეებს უფარებდა, მათ აცილებულ ბურთებს მიყოლებით ხსნიდა და რაც მთავარია, ამას განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემების ხარჯზე კი არა, სწორი მიდგომით და ადგილის გონივრული შერჩევით აკეთებდა.

მანამდე რვა წელი უჩემპიონო „ბოსტონმა" რასელთან ერთად პირველივე, 1956-57 წლების სეზონში მოიგო პლეი ოფი — ფინალში სწორედ „სენტ ლუის ჰოქსი" დაამარცხა 4:3. მართალია, მაკოლიმ და პეტიტმა 1958 წელს ჩემპიონობა ჩამოართვეს, მაგრამ მომდევნო სეზონში „ბოსტონმა" კუთვნილი დაიბრუნა და დაიწყო! სეზონი სეზონს მისდევდა, პლეი ოფში კი ამ გუნდის მძლეველი ვერავინ მოიძებნა. ერთი, ორი, სამი... 1959-66 წლებში „სელტიქსმა" ზედიზედ რვაჯერ იჩემპიონა და არა მარტო ნბა-ს, არამედ ჩრდილოამერიკული პროფესიული ლიგებისთვის საერთო რეკორდი დაამყარა.

„ბოსტონში" ვარსკვლავები მიდიოდნენ და მოდიოდნენ, „სელტიქსი" კი რასელის ფეხებზე იდგა. ეს შავი კაცი ხსნიდა და აფარებდა. იმხანად ნბა-ში დაფარებებს არ აღრიცხავდნენ, მაგრამ მხილველები ამბობენ — რასელს იმდენი მოუგროვდებოდა, ჩვენი დროის დამფარებლები მასთან შედარებით ლლაპებად გამოჩნდებოდნენო. რაც შეეხება მოხსნებს, 13 წლიან კარიერაში რასელს 21 620 მოხსნა დაუგროვდა. კიდევ უფრო სულის შემხუთავი ჩანს ამ ათასებიდან გამოყვანილი საშუალო რიცხვი — 22,5 მოხსნა ყოველ თამაშში!

„ბოსტონი" გრგვინავდა, მეტოქე გუნდის მწვრთნელები თითებს იჭამდნენ. ზოგჯერ მეტოქე ახერხებდა კოუზისთვის ფრთების შეკვეცას, შარმენის ამოკეტვას და ჯონ ჰავლიჩეკის კუთხეში მიმწყვდევას, მაგრამ რასელი თავის ადგილზე იდგა და შეუძლებელი იყო, ამ კედლის განგრევა. გვერდსაც რომ ვერ აუვლიდი?! რა უნდა მოუხერხო გუნდს, რომლის ერთ-ერთი მოთამაშე 45 წუთში 51 ბურთს ხსნის?

ეს შავი კაცი კალათბურთის საფუძველს ანგრევდა, ამ თამაშის არსს ცვლიდა, დაცვიდან იგებდა მატჩებს და ჩემპიონატებს. მასთან აღარ ჭრიდა მარტივი პრინციპი — „თამაშის მოსაგებად საჭიროა, მეტოქეზე მეტი ბურთი ჩააგდო". ხალხი უყურებდა და ხვდებოდა, რომ იგებს ის, ვინც მეტოქეს აგდებინებს ნაკლებ ბურთს. მოკლედ, ყველაფერი ყირამალა დააყენა სადღაც ლუიზიანას დაბაში დაბადებულმა შავკანიანმა.

1959 წელს ნბა-ში 216-სანტიმეტრიანმა და 120-კილოგრამიანმა მონსტრმა უილტ ჩემბერლენმა რომ შეაბოტა, მანაც კი ვერაფერ დააკლო რასელს, ჩემბერლენმაც კი, რომელმაც ერთ თამაშში 100 ქულა მოაგროვა და ვისთვისაც 40-ქულიანი თამაშები უფერულად ითვლებოდა. პირიქით, მასთან ჭიდილში რასელი ლამის მითიურ გმირობამდე ამაღლდა პრაგმატიზმით მსუნთქავ ამერიკაში. ერთი ისტორიული ფოტოა შემორჩენილი — 10 სანტიმეტრით დაბალი რასელი ჩემბერლენის ნასროლს თითის წვერებით აჩერებს. ასეთი კაცი იყო რასელი, ჩემბერლენმაც კი ვერ გადაატარა ბურთი.

რასელის და უილტის დუელი მთელ 60-იანებს გაჰყვა ოქროს შირმად. ჩემბერლენმა ერთადერთხელ აჯობა პლეი ოფში რასელს. 1966 წლიდან, როცა ზედიზედ რვა ჩემპიონობის შემდეგ რედ აუერბახმა დასვენება ისურვა და მოედნისპირა სკამიდან „სელტიქსის" ოფისში, გენერალური მენეჯერის კაბინეტში გადაჯდა, გუნდის თავკაცობა რასელმა იტვირთა და თავისი უკანასკნელი 3 სეზონი მოთამაშე-მწვრთნელის სტატუსით გალია. „სელტიქსი" 1967 წლის აღმოსავლეთის ფინალში (პლეი ოფის ნახევარფინალი) ჩემბერლენის „ფილადელფია სიქსერზთან" დამარცხდა, თუმც მომდევნო სეზონში რასელმა „კელტებს" კუთვნილი ტიტული დაუბრუნა, 1969 წელს ერთხელაც აჩემპიონა და მერეღა, 35 წლისა გავიდა მოედნიდან. ესეც სათქმელია, რომ ბილ რასელი შეიქნა ნბა-ს ისტორიაში პირველი აფრო-ამერიკელი, ანუ შავკანიანი მწვრთნელი.

დღეს ბილ რასელი 70-ს აცილებული მოხუცებულია. იშვიათად სტუმრობს საკალათბურთო თამაშებს, მაგრამ სადაც მივა, ყველგან პატივით და მოკრძალებით ხვდებიან, 50-იანი წლებისგან განსხვავებით.

მეჩხერი წარბების ქვემოდან მორგან ფრიმენის გმირების გონიერი თვალებით იმზირება და დინჯად საუბრობს — „ხშირად მესმის, რომ ჩემი დროებიდან დღემდე კალათბურთში ბევრი რამ შეიცვალა, მეუბნებიან, რომ მე შევცვალე კალათბურთი... იცით, მე არასდროს მიფიქრია, რომ მისაბაძი ვყოფილიყავი ვინმესთვის. საერთოდ არ მიყვარს ეს სიტყვა... მე ვცდილობდი, რაც შეიძლება უკეთ მეთამაშა კალათბურთი."

**ირაკლი ფირაშვილი**



# დავსხდეთ ვიდეოსთან

## ქართველი მსაჯი ქართველების ჩაგვრას ჯერ არ აღიარებს


ედიშერ მაჩაიძე

*რუსეთში ქართველი მოჭიდავეების წარუმატებელი გამოსვლა მნიშვნელოვანწილად მსაჯობას ბრალდება. საჭიდაო წრეებში უსამართლობაზე ხმამაღლა საუბრობენ და ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს თავისუფალთა კენჭისყრა. ოთხი ქართველი, რომლებზეც ყველაზე დიდი იმედი მყარდებოდა, პირველსავე წრეში რუსს გადაეყარა და ოთხივე დამარცხდა.*

*საეჭვო ნიუანსების დასაზუსტებლად ყველაზე კომპეტენტურ ხალხს მივმართეთ. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გია გალდავა ლუკა კურტანიძის ყოფილი პირადი მწვრთნელია და ჭიდაობის ავან-ჩავანიც მშვენივრად ესმის. ზაზა თურმანიძე თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების თავკაცი გახლავთ, ედიშერ მაჩაიძე კი ევროპის ჩემპიონატზე ერთადერთი ქართველი მსაჯი იყო*

*ზაზა თურმანიძე:*

— საშინელი ზეწოლა იყო. საერთოდ მასპინძლებს ყოველთვის აქვთ ხოლმე მსაჯების მხარდაჭერა. ახლა კი ამით ყველაზე მეტად ჩვენ დავზარალდით. თუშიშვილი, მინდორაშვილი, გოგშელიძე და კურტანიძე პირველსავე წრეში რუსებს დაუპირისპირდნენ. ყველაზე მეტად თუშიშვილი დაიჩაგრა. მას მარტო უსამართლოდ კი არ წააგებინეს, მოგებული შეხვედრა გამოსტაცეს ხელიდან.

...მინდორაშვილისა და კურტანიძის წაგებას მსაჯებს ნაღდად ვერ დავაბრალებთ. გოგშელიძეს კი მეორე პერიოდის შემდეგ ისეთი გაფრთხილება მისცეს, გაოცებულები დავრჩით. მონეტა გაცალოვს დაუჯდა და მას გიორგი ფეხიდან უნდა აეყვანა, თუმცა აღარ დასჭირვებია. მსაჯმა ქულა ილეთის დაწყებამდე მისცა, აქაოდა, ქართველს მეტოქის ზურგზე ხელები არასწორად ჰქონდა დადებულიო.

...ცალკე საუბრის თემაა კენჭისყრა. აშკარა იყო, თავიდან მოგვიცილეს. ყველაფერი დახურულ კაბინაში გადაწყდა, სადაც მოჭიდავეებს ცალ-ცალკე უშვებდნენ. მერე კი კომპიუტერით აწყობილი ბადეები გამოამზეურეს.

*გია გალდავა:*

— მოსკოვური უსამართლობა არცთუ ძნელი შესამჩნევი იყო და ამით მარტო ქართველები როდი დავრჩით უკმაყოფილო. უბრალოდ ჩვენ ჩვენსას ვხედავთ და ვფიქრობთ, ყველაზე მეტად გაგვამწარეს. სამწუხაროდ, მოსკოვური ფაქტები ჭიდაობისთვის არცთუ უცხოა. ფილა-მ მსაჯობის პრობლემა აუცილებლად უნდა მოაგვაროს, თორემ ყველამ წინასწარ იცის, მასპინძელ ქვეყანას რამხელა დახმარება ექნება.

...მაინც ვფიქრობ, რომ მოსკოვური უსამართლობა სხვა დიდი ტურნირებისას არაფრით აღემატებოდა. ერთადერთი, რაც რუსეთში დაემატა, უცნაური კენჭისყრა იყო. ვიდრე სიტუაცია დალაგდება, უსამართლობისთვის წინასწარ უნდა ვიყოთ მზად და კიდევ უფრო კარგად მოვემზადოთ ტურნირებისთვის.

*ედიშერ მაჩაიძე:*

— სანამ შეხვედრების ვიდეოჩანაწერებს არ ვნახავ, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი.

**— ცოცხლად არ გიხილავთ ქართველების დაჩაგვრა?**

— ცხადია, მსაჯებმა შეცდომები დაუშვეს, მაგრამ მიკერძოების ფაქტები სხვა დროს გაცილებით მეტი ყოფილა, ვიდრე მოსკოვში.

**— მაინც რომელი ჩვენებური დაიჩაგრა ყველაზე მეტად მოსკოვში?**

— ამაზეც მხოლოდ ვიდეოჩანაწერის ნახვის მერე ვისაუბროთ.

**— კენჭისყრაზე რაღას იტყვით?**

— აქამდე კენჭისყრა მარტივად ხდებოდა. მოჭიდავეები თავისი ხელით იღებდნენ ნომრებს. ახლა კი ეს კომპიუტერმა გააკეთა. მონაწილეებს მხოლოდ თითი უნდა დაეჭირათ. ეჭვის საბაბიც სწორედ ეს გახდა. სიმართლე გითხრათ, ცოტა ძნელია ამაზე საუბარი, არ ვიცი, კომპიუტერის დახმარებით შესაძლებელია თუ არა ჩაწყობა...

**— ოთარ თუშიშვილის მოგებული შეხვედრა მურთაზალიევის სასარგებლოდ თვით ფილას პრეზიდენტ რაფაელ მარტინეტის შეუცვლია...**

— ამხელა კაცი ასეთ პასუხისმგებლობას თავის თავზე რომ იღებს, ესე იგი სიმართლეს ამბობს. როცა მსაჯებზე გვაქვს პრეტენზია, რატომ არ ვახსენებთ, ამ მომენტამდე რა მოხდა? საქმეში მარტინეტის ჩარევამდე ხომ მსაჯებს თუშიშვილის გამარჯვება ჰქონდათ დაფიქსირებული.

**— მაშასადამე, კომპეტენტური აზრით, მოსკოვში უსამართლობას ადგილი არ ჰქონია?**

— ვიდრე ამას გადაჭრით ვიტყვით, ჯობია, ჟურნალისტები, მოჭიდავეები და მსაჯები ერთად დავსხდეთ ტელევიზორთან და ყველა შეხვედრის ვიდეოჩანაწერი დაწვრილებით გავაანალიზოთ. იქნებ ისეთი მომენტებიც აღმოვაჩინოთ, სადაც მსაჯებმა გადაწყვეტილება პირიქით, ქართველების სასარგებლოდ მიიღეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**


ზაზა თურმანიძე


რევაზ მინდორაშვილი და გია გალდავა





# დავიპყროთ სოფია

## წყალბურთელები ევროპის გზას შეუყვნენ

**დღეს** დილით საქართველოს ახალგაზრდა წყალბურთელთა ნაკრები სოფიაში თანატოლთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე სათამაშოდ გაფრინდა.

საქართველოს ნაკრებიო, ვამბობთ, თორემ გუნდი მთლიანად თბილისელებითაა დაკომპლექტებული, რომელშიც სამი მოსკოველი ლეგიონერია. ესენი არიან: გიორგი ხვედელიანი („მაიაკი"), მიხეილ ბაღათურია („დინამო") და ზურაბ რურუა (ცსკ ვმფ). მათ გარდა ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არიან: ალექსანდრე ნამორაძე, ბექა ქენქაძე, ნოდარ რაფავა, ვასილ ლუტიძე, დავით ბაქრაძე, გიორგი ცირეკიძე, ტატო ნიკოლეიშვილი, ალექსანდრე რუსიშვილი, დავით ქაჯაია და ვლადიმერ ბერძენიშვილი.

ჯგუფში საქართველოს მეტოქეები არიან კვიპროსის, რუსეთის, თურქეთის, ბულგარეთისა და მოლდოვას ნაკრებები. ჩვენი წყალბურთელები — ხვალიდან მათთან ამავე თანმიმდევრობით გამართავენ შეხვედრებს. ფინალური ეტაპი საგზურები კი პირველ-მეორე ადგილებზე გასულნებს შეხვდებათ.

შეგახსენებთ, რომ შარშან ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ანალოგიურ შეჯიბრებაზე შარშანწინდელისგან განსხვავებით ფინალურ ტურნირში გამოსვლის უფლება ვერ მოიპოვა. რაც შეეხება წლევანდელ შანსებს, როგორც გუნდის თავკაცმა სოსო მაისურაძემ გვითხრა, ჩვენს გუნდს ყველაზე ძნელი ბრძოლა რუსეთის ნაკრებთან მოუწევს, რომელიც ტურნირის ფავორიტადაც ჩაითვლება.

მაისურაძის აზრით, ძნელი ბრძოლაა მოსალოდნელი თურქეთის ნაკრებთანაც, რომელთანაც შარშან, მართალია, ფრედ ვითამაშეთ, მაგრამ მას მერე ეს გუნდი მრავალ ტურნირში მონაწილეობის წყალობით გაძლიერდა და გამოცდილებაც მოემატა, რასაც ჩვენები მოკლებულნი არიან.

რუსეთისა და თურქეთის გუნდებს ბულგარეთის ნაკრები ჩამორჩება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი ტურნირის მასპინძელია, რომელსაც ჩვეულებისამებრ ალბათ საკუთარი კედლებიც დაეხმარება.

საქართველოს ნაკრებისთვის სასიკეთოდ მართლაც მისწრება იყო ამ ათიოდე დღის წინათ კიევში, უკრაინის უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა ღია ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩებში მონაწილეობა, მაგრამ იქიდან დაბრუნებულნი ჩვენებური წყალბურთელები კვლავ „ბურევესტნიკის" 25-მეტრიანი საცურაო აუზის არტახებში მოექცნენ, რომელიც საწყალბურთო სარბიელის ზომებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება, „ვერეს" საწყალოსნო კომპლექსში კარჯიში და კი ვერა და ვერ ხერხდება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# პირველივე შვიდიანში

**პოლონეთის** ქალაქ ვლადისლავოვოში გუშინწინ ძალოსანთა ევროპის პირველობა დაიწყო და 7 მაისამდე გაგრძელდება. საქართველოს ნაკრები ტურნირზე 3 ან 4-კაციანი შემადგენლობით გამოვა. ჯერაც გაურკვეველია, რუსეთიდან გადმობარგებული ალბერტ კუზილოვის საკითხი. მას ნება იქაური ძალოსნობის ფედერაციამ უნდა დართოს. დანარჩენი სამეულიდან კი გუშინ ერთი უკვე გავიდა ფიცარნაგზე.

18 წლის ზვიად სამუკაშვილს (56 კგ) დიდების ევროპირველობაზე დებიუტი ჰქონდა და ამის გათვალისწინებით, საკმაოდ კარგი შედეგიც აჩვენა. 107-კილოგრამიანი შტანგა აიტაცა, 132-იანი აჰკრა და მე-7 ადგილზე გავიდა. არადა, ბოლო ცდაზე 142 რომ აეკრა, ვერცხლის მედალს აიღებდა.

5 მაისს ტურნირში რაულ ცირეკიძე (85 კგ) ჩაერთვება, ერთი დღის შემდეგ კი — არსენ კასაბიევი და ალბათ, კუზილოვიც (ორივე 94 კგ).

ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები
ფინალი

სიუდად რეალი (ესპანეთი) 37:28 (25:19) პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი)

# ტალანტის პირველი ტრიუმფი

**ხელბურთის** ჩემპიონთა ლიგის გათამაშება წლიდან ტარდება. ფაქტობრივად ეს ესპანეთის ლიგა გამოდის: ბოლო 13 ტურნირიდან ათჯერ ესპანელებმა მოიპოვეს ევროპის ყველაზე პრესტიჟული კლუბო ტიტული. ექვსჯერ „ბარსელონამ“ შეძლო, თითოჯერ „ტეკა სანტანდერმა“, „ბიდ ელგორიაგამ“, „პორტლენდ ანტონიომ“ და ახლა, პროვინციამ „სიუდად რეალმა“. ალსანიშნია ისიც, რომ უკვე მეოთხედ ორივე ფინალისტი ესპანეთიდან იყო.

რეალელებმა წლებში სულ ალმა მიდიარ შანწინ ნახევარფინალამდე მიაღწიეს, შარშან — ფინალამდე, ვ თანაბარ ბრძოლაში „ბარსასთან“ დათმეს, ამჯერად „პორტლენდის“ განადგურებით პირველად დაეუფლნენ ვეება, ლამაზ თასს.

გადამწყვეტ მატჩებამდე „სიუდადმა“ 11 თამაში მოიგო და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა.

ფინალურ შეხვედრებში გუნდს წარმატება უპირველესად უნაკლო, გააზრებულად მოქმედმა დაცვამ და სერბი მეკარის არპად შერბიკის ბრწყინვალე თამაშმა მოუტანა.

ორრაუნდიანი ბრძოლის ბედი პრაქტიკულად პირველივე თამაშში პამპლონაში გაირკვა, სადაც რეალელებმა სახელოვან მეტოქეს სენსაციური მარცხი აგემეს — 25:19 (11:6) და საპასუხო მატჩის წინ პრაქტიკულად უშანსოდ დატოვეს.

სიუდად რეალის „დონ კიხოტე არენაში“ 5 500 ქომაგი მივიდა თავისიანთა მხარდასაჭერად. თამაში მხოლოდ დასაწყისში იყო თანაბარი — 2:2, მერე კი მასპინძლებმა ისეთი ცეცხლი დაანთეს, რომ შესვენებაზე ათბურთიანი მარაგით წავიდნენ — 21:11 და სოლიდური სხვაობა ბოლომდე შეინარჩუნეს — 37:28.

გამარჯვებულთაგან ყველაზე მეტი, შვიდ-შვიდი გოლი გაიტანეს ვეტერანებმა — როლანდო ფონსეკა ურიოსმა და ისლანდიელმა ლეგიონერმა ოლაფურ სტეფანსონმა. აქვე ვიტყვით, რომ „სიუდად რეალში“ ცხრა უცხოელი ხელბურთელია. მთავარი მწვრთნელი კი საბჭოთა კავშირში დაბადებულ-ნათამაშევი ტალანტ დუიშებაევი გახლავთ, რომელმაც ათ წელიწადზე მეტია, ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო და იქაური კლუბების ნაკრების ღირსებას იცავდა.

ეს ტალანტის პირველი ტრიუმფია მწვრთნელის რანგში: „ჩემთვის ყველაზე მეტად ისაა საამაყო, რომ გუნდი თავს ერთ ოჯახად გრძნობს, მეგობრებისგან შედგება და არა 16 დაქირავებული ვარსკვლავისგან. როგორც კი ფიესტას დავამთავრებთ, რეალობას დავუბრუნდებით და ესპანეთის ჩემპიონობისთვის გავაგრძელებთ ბრძოლას.“

სადღეისოდ „სიუდად რეალი“ ცხრილში მესამე ადგილზეა „ბარსელონასა“ და „პორტლენდ სან ანტონიოს“ შემდეგ.

ბოლოს სხვა ევროთასების გამარჯვებულებსაც გაგაცნობთ:

*ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასი — „ლემგო“ (გერმანია)*

*თასების მფლობელთა თასი — „ჩეხოვსკიე მედვედი“ (რუსეთი)*

*ჩელენჯ კაპ — „სტეაუა“ (რუმინეთი)*

**გია ახალაძე**



„სიუდად რეალმა“ ჩემპიონთა ლიგა პირველად მოიგო



პლეი ოფი 2006



AFP

...ოტაც და, კალგარელი ჯერომ იგინლა და ანაჰაიმელი ფრანკო ბუშემი ერთმანეთს მუშტებს დაუშენენ

# მუშტებს იხვებიც იქნევენ

1 მაისი

ნახევარფინალი (sic: ჯასავლეთი)

დეტროიტი 2:4 ედმონტონი

**ედმონტონი 4:3 დეტროიტი**

*0:1 0:1 4:1*

0:1 ზეტერგი (15), 0:2 ლანგი (35), 1:2 პიზანი (43), 2:2 პიზანი (47), 2:3 ფრანცენი, 3:3 ჰემსკი (57), 4:3 ჰემსკი (59)

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ დასავლეთის ფავორიტი პირველივე ეტაპზე გაეთიშა თასისთვის ბრძოლას. ორი პერიოდის შემდეგ სერიის მექვსე თამაშს სულაც არ ეტყობოდა, რომ საბოლოო იქნებოდა, მაგრამ მესამე პერიოდში მასპინძლებმა სასწაული მოახდინეს, ორგოლიანი დეფიციტი დაფარეს და გადამწყვეტი უპირატესობაც მოიპოვეს. მატჩის გმირი ჩეხი ალეშ ჰემსკი გახდა. „ედმონტონის“ შეტევის ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორს წინა მატჩებში ბედი არ სწყალობდა, მაგრამ, როგორც იქნა, გაიხსნა და ბოლო სამ წუთში ზედიზედ ორი გოლი გაიტანა. „დეტროიტი“ კი ზედიზედ მეორე სეზონია, რეგულარული ჩემპიონატის მოგების შემდეგ პლეი ოფში მარცხდება. ეს არცთუ საიმედოდ მეკარე მენი ლეგასის ბრალია თუ სხვა რამის, ახლა აღარავის აინტერესებს. ფაქტი ისაა, რომ სკოტი ბოუმენის შემდეგ „წითელფრთიანები“ ველარაფერს ახერხებენ.

კალგარი 3:3 ანაჰაიმი

**ანაჰაიმი 2:1 კალგარი**

*0:1 1:0 1:0*

0:1 იელი (11), 1:1 სელიანე (28), 2:1 ს. ნიდერმაიერი (55)

გუნდები სერიის დაწყებიდანვე „სალუნურ ჩხუბს“ მართავენ და ხან ერთი ურტყამს, ხან — მეორე. ამჯერადაც „იხვებმა“ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები მალე დაწინაურდნენ, „ანაჰაიმმა“ მაინც შეძლო გარდატეხის შეტანა. მართალია, გოლები ვეტერანებმა, სელიანემ და სკოტ ნიდერმაიერმა გაიტანეს, მაგრამ ორივე საგოლე კომბინაცია ახალბედების მომზადებული გამოდგა. სერიის ბედი ოთხშაბათს კალგარში გადაწყდება.

**სამველ ღარიბიანი**



# ვარსკვლავი ჩაქრა

**შვეიცარიელი** სამთომოთხილამურე, 2003 წლის მსოფლიოს თასის ვერცხლის პრიზიორი კორინ რეი-ბელეტი პოლიციელებმა თავისი მშობლების სახლში ძმასთან ერთად მოკლული აღმოაჩინეს.

პოლიციის თქმით, სპორტსმენი და მისი ძმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს, ხოლო კორინის დედა მძიმედ დაჭრილი ნახეს, თუმცა მან პოლიციაში დარეკვა მაინც მოახერხა. პოლიციელებმა კორინის სახლში ნახეს მისი უვნებელი ორი წლის ვაჟიშვილი, მკვლელმა კი იქაურობა სამართალ-დამცველთა მოსვლამდე დატოვა და გაუჩინარდა.



კორინ რეი-ბელეტი სავარაუდოდ ქმარმა მოკლა

გამომძიებლები მკვლელობაში მთავარ ეჭვმიტანილად მიიჩნევენ კორინის ქმარს ჰეროლდ შტალერს, რომლის ავტომობილიც სახლის შორიახლოს აღმოაჩინეს. ამასთან, არიან მოწმეები, რომლებმაც შტალერი ცოლის სახლიდან თოფით გამოსული დაინახეს. ამიტომაც მის დაპატიმრებაზე ორდერიც გაიცა.

ამბობენ, რომ კორინს ოჯახური პრობლემები ჰქონდა და ცოტა ხნის წინათ იგი ქმარს დაშორდაო.

კორინ რეი-ბელეტი შვეიცარიელ სამთომოთხილამურეთა ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა. მან მსოფლიოს თასის გათამაშებათა ეტაპებზე არაერთხელ გაიმარჯვა, მაგრამ 2003 წელს სენტ მორიცში ვერცხლის მოპოვების მერე მუხლის მძიმე დაშავების გამო დიდი სპორტი მიატოვა.




# სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (ალმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

# საქართველო შვედეთთან თურქულად გათამაშდება

## გურჯისტანმა მერთი ელითეზი ორი საუკუნის მერე დაიბრუნა

*„მსოფლიოში პირველი", „ძალიან მაგარია", „ფრენბურთი" — ამ სიტყვებს 23 წლის თურქი მერთი ელითეზი თავისუფლად ამბობს ქართულად და თუ დასჭირდა, საყველპურო გურჯისტნულიც იცის.*

*მერთი ელითეზი დღე-დღეზე ქართულ პასპორტს ელოდება, ჩვენს ფრენბურთელთა ნაკრებში რომ ითამაშოს და 13 მაისს შვედეთის წინააღმდეგ ჩვენებს თავისი ხელი შეაშველოს. ელითეზი გამთამაშებელია. ამ პოზიციაზე კი ჩვენებს ყველაზე მეტად უჭირთ. მისი „გაქართველებაც" ამიტომ გადაწყდა. ელითეზი ბურსას „ბესკში" თამაშობს, რომლის მთავარი მწვრთნელი საქართველოს ნაკრების თავკაცი ირაკლი ჩაჩუაა. ელითეზს გუშინ ინტერვიუსთვის ვესტუმრეთ.*

— ქართულად საუბარი გეხერხებათ...

— სახლში მშობლები ცდილობენ, რომ ქართულად მელაპარაკონ. წარმოშობით ქართველი ვარ. ჩემი წინაპრები მე-19 საუკუნის ბოლოს დასახლებულან თურქეთში.

— თქვენ წინაპრებს რა გვარი ჰქონდათ და საქართველოს რომელი კუთხიდან ჩავიდნენ თურქეთში?

— ახლა არ ვიცი, ჩემთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ საქართველოდან ჩავიდნენ თურქეთში.

— ოჯახში როგორ შეხვდნენ თქვენს მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღებას?

— ძალიან მშვიდად. მომიწონეს კიდეც გადაწყვეტილება. სულ მირეკავენ და ყოველ წუთს მეკითხებიან, როგორ ვგრძნობ თავს თბილისში, მომწონს თუ არა აქაურობა. მეც ვაწყნარებ. აქ თავს მშვენივრად ვგრძნობ. სხვათა შორის, საქართველოში ათი წლის წინ ვიყავი, მამაჩემი იყო რაღაც საქმეზე და მეც გამოვყევი.

— თქვენი „გაქართველების" ინიციატივა ვისგან მოდიოდა?

— საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ირაკლი ჩაჩუასგან. ჩაჩუა ჩემი კლუბის თავკაცია და მის ხელში გავხდი გამთამაშებელი. ბურსას „ბესკში" კიდევ ერთი ქართველი მოთამაშეა, სოსო ლობჟანიძე. მასთან ვმეგობრობ. როდესაც საქართველოს ნაკრებში თამაში შემომთავაზეს, ბევრიც არ მიფიქრია, მაშინვე დავთანხმდი.

— მანამდე ქართულ ფრენბურთზე რა იცოდით?

— ბევრიც არაფერი. სოსო ლობჟანიძემ მითხრა, ჩვენი კაპიტანი ვიქტორია რავას მეუღლეა ამირან ჯიოშვილიო. რავა კი მსოფლიოში პირველია!

— მეტი არაფერი?

— სხვა ინფორმაციას არც ვფლობდი, სამაგიეროდ, ქვეყანას ვიცნობ კარგად. რაც შემეძლო, ყველაფერი გავიგე. საერთოდ თურქეთში ექვს მილიონამდე წარმოშობით ქართველი ცხოვრობს. ბურსაში კი რვაასი ათასი გურჯია. ართვინშიც მრავლად არიან ქართველები და როდესაც ბურსაში სახლდებიან, ბურთვინელებს ეძახიან.

— თურქეთში ფრენბურთი პოპულარულია?

— ძალიან, ოღონდ ნაკრები ვერ არის მაღალი დონის. თურქეთში უფრო საკლუბო ბუმია, რადგან კლუბებში ბევრი ფული ტრიალებს და ძლიერი ლეგიონერებიც ჰყავთ. ისე, ქალთა ფრენბურთი უფრო პოპულარულია ვიდრე კაცთა. შესაბამისად, ქალთა კლუბები



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ევროტურნირებზე წარმატებულად თამაშობენ.

— 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე რომ მოხვდეთ, შვედებს უნდა მოუგოთ. შეძლებს საქართველოს ნაკრები ორმატჩა დაპირისპირების თავის სასარგებლოდ დასრულებას?

— ჩემი აზრით, ეს უნდა მოვახერხოთ. შვედეთი არ არის გრანდი და დაუმარცხებელი ნაკრები. თუ ჩვენი გუნდი შეიკვრება, ჯგუფურ ეტაპზე აუცილებლად ვითამაშებთ.

**ბაჩო სვანიძე**

# ვიქტორია რავა ქმრის საქომაგოდ ბავშვმა არ გამოუშვა

## ამირან ჯიოშვილი სხეულს ვერ გრძნობს

*2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადებას საქართველოს კაც ფრენბურთელთა ნაკრები სრული შემადგენლობით ხვალიდან დაიწყებს. მანამდე კი 13 მაისის შვედეთთან მატჩისთვის ჩვენი ლეგიონერები ნელ-ნელა იკრიბებიან თბილისში და სპორტის სასახლეში მსუბუქად ვარჯიშობენ. სანაკრებო შეკრებაზე ერთ-ერთი პირველი საქართველოს ნაკრების კაპიტანი და ფრანგული „ნიცას" მოიერიშე ამირან ჯიოშვილი ჩამოვიდა. მას გუშინ ვესაუბრეთ*

— დიდი ხანია, საქართველოს ნაკრები არ შეკრებილა. როგორც კაპიტანი, ერთი შეხედვით, როგორ აფასებთ გუნდის ახლანდელ მდგომარეობას?

— დავიწყებ იმით, რომ ნაკრები სრულად ორ დღეში შეიკრიბება და ამის შემდეგღა შემეძლება მეტნაკლებად სრულფასოვანი შეფასება. თანაც მე ფორმაში არ ვარ. „ნიცამ" საფრანგეთის ჩემპიონატში გამოსვლა ათი დღის წინ დაასრულა და ამის შემდეგ ბურთისთვის ხელი არც მომიკიდია. წარმოიდგინეთ, შარშან აგვისტოდან მოყოლებული აპრილის ბოლომდე სულ ვთამაშობდი და მხოლოდ აღდგომას დავისვენეთ ოთხი დღე. ეგ იყო და ეგ. დამღლელი სეზონის შემდეგ მეც გადავწყვიტე, ათი დღე მაინც დამესვენა.

— შვედეთთან მატჩამდე ფორმის აღდგენას მოასწრებთ?

— დიახ, პრობლემა არ იქნება. დღეს წავივარჯიშე და კუნთებმა დატვირთვას ვერ გაუძლო. ასე ვთქვათ, სხეულს ვერ ვგრძნობ, მაგრამ რამდენიმე დღეში ფორმასაც აღვიდგენ და სრულ მზადყოფნაშიც ვიქნები.

— ჩვენს ნაკრებს თუ შესწევს ძალა, შვედეთს მოუგოს?

— ვფიქრობ, რომ ეს სავსებით შესაძლებელია. შვედეთი კარგი გუნდია, მაგრამ თუ საქმეს სერიოზულად მივუდგებით, ბოლომდე დავიხარჯებით, მოგების შანსიც გვექნება. შვედებს სამი ლეგიონერი ჰყავთ. მარტინ ინგერსკოგი და მარკუს ნილსონი საფრანგეთის, ხოლო იონას კალმაციდისი კი საბერძნეთის ჩემპიონატში თამაშობენ. მათგან გამორჩეული მარკუს ნილსონია, იგი საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო მომწოდებელი გახდა. ძალიან ძლიერი მოწოდება აქვს, მაგრამ არის ერთი მთავარი ნიუანსი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ნილსონის „პარიზი" საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში გავიდა. ფინალი მომავალ უქმეებზეა. თქმა არ უნდა, ფინალის შემდეგ ნილსონი დაღლილი იქნება, თანაც პარიზიდან შვედეთში მოუწევს ჩასვლა და იქიდან თბილისში გადმოფრენა. ფინალი და ხანგრძლივი მგზავრობა ნილსონს ძალიან დაღლის.

— საკუთარი მოედნის ფაქტორი მნიშვნელოვანია?

— რა თქმა უნდა. კარგა ხანია, თბილისში ნამდვილი ფრენბურთი არ ყოფილა და იმედია, სპორტის სასახლეში ქომაგობა არ მოგვაკლდება. საპასუხო მატჩის წინ უპირატესობა უნდა შევიქმნათ, თბილისში 3:0 ან 3:1 უნდა მოვიგოთ.

— თქვენს საქომაგოდ თქვენი მეუღლე ვიქტორია რავა აპირებდა ჩამოსვლას...

— ვიკი ვერ ჩამოვა... ორსულად არის და ექიმმა ურჩია, დამღლელ მგზავრობას მოერიდოს.

**ბაჩო სვანიძე**




# ნამალი „სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მინებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ ნამალი „სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

„სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. „სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გიგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. ნამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

ნამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებული და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში

ნამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე 3,30 დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიბრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კაკა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუზელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა სუციაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნაილა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge